საერთაშორისო სამართალი საქართველოში

(ნაბეჭდები საერთაშორისო ისტორიიდან)

შინაარსი:

1. შესავალ
2. საქართველოს საზღვრები . და მათი დაფასება.
3. საქართველოს ტერიტორიის განხილვა სტრატეგიის თვალსაზრისით.
4. საქართველოს მდგომარეობა დავით აღმაშენებელის გამეფების დროს.
5. დავით აღმაშენებელის სამხედრო მოღვაწეობა, მისი მოქმედების საერთო გეგმა.
6. მუდმივი ჯარის დაარსება, ჯარის მაშინდელი, საომარი წყობილება, ბრძოლა კლარჯეთში.
7. მეფე დემეტრის და გიორგი III სამხ. მოღვაწეობა.
8. მეფე თამარი. პოლიტიკური მდგომარეობა.
9. შანქორის ომი და საქართველოს საზღვრების საბოლოო გამაგრება და დაცვა.

ტფილისი
„ზრომა“, მუხრანის ქუჩა.
1915 წ.

სამხედრო ხელოვნება საქართველოში

(ნიმუშები სამხედრო ისტორიიდან)

1.

შესავალი

თანამედროვე საშინელმა ომმა, მიუხედავად ტეხნიკურ საშუალებათა უკიდურესობამდე განვითარებისა, დაგვიმტკიცა და ცხად ჰყო, რომ სტრატეგიის და სამხედრო ხელოვნების ძირითადი დებულებანი უცვლელნი დაშთნენ. ამ მთავარ დებულებათ იგივე ადგილი უჭირავთ, რაგვარიც წინად ეკუთნოდათ. ბრძოლის წარმოება, ჯარის მოხმარება და გამარჯვების მოპოება კვლავ ამ ძირითად პრინციპების აღსრულებაზეა დამოკიდებული. დღეს ჯარის სარდალს იგივე მოეთხოვება, რაც მოეთხოვებოდა ყოველთვის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. თუ დღეს მას ხელთ ბევრად მეტი ტეხნიკური საშუალებანი აქვს, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამგვარადვე აღჭურვილია მისი მოპირდაპირე.

ჯენიოსი სარდლები, ჰანიბალი, ალექსანდრე მაკედონელი, იულიოს კეისარი, ტიურენი, ფრიდრიხ დიდი და ნაპოლეონი სტრატეგიაში ერთსა-დაიმავე პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ.

სტრატეგიის დებულებანი მეტად მარტივი სახისანი არიან. თითქმის ერთი მთავარი დებულებით შეიძლება განისაზღვროს მთელი სტრატეგია: იმოქმედე გარემოების დაგვარად. მართლადაც მარტივი და უცილობელი დებულებაა. მაგრამ ამ მარტივ წინადადებაში ესოდენ ბევრი რამ არის ჩამარხული, რომ თუ გახსნით ფრჩხილებს, მთელი ზღვა სხვა და სხვა დებულებათა გადაგეშლებათ თვალწინ. სწორედ ამით აიხსნება, რომ მიუხედავად თვით სტრატეგიის, როგორც თეორიის, სიმარტივისა კაცობრიობის ისტორიაში, საუკუნეთა განმავლობაში ნაძღვილი სტრატეგები, დიდი სარდლები, მეტად ცოტაა, თითით დასათვლელი. ძველ საბერძნეთის ისტორიაში მხოლოდ ეპამინონდი, ალექსანდრე მაკედონელი არიან ცნობილნი როგორც გენიოსი სარდლები. თვით რომი, რომელიც თავის სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებით და მისწრაფებით ნამდვილ სამხედრო სახელმწიფოს წარმოადგენს, მხოლოდ ერთს დიდებულ სტრატეგს, იულიოს კეისარს დაგვისახელებს, ფართე იმპერიალისტურ პოლიტიკის მწარმოებელს კართაგენს წარმოუშვია მხოლოდ ჰანიბალი.

ევროპაში მთელს საშუალო საუკუნოებათა განძავლობაში თითქმის არ ვხედავთ ასეთსავე დიდებულ სარდლებს. ტიურენი, გუსტავ ადოლფი, ფრიდრიხ დიდი და ნაპოლეონი უკვე ახალ ისტორიას ეკუთვნიან. აღსანიშნავია, რომ ბუმბერაზი სარდლები მაშინ ჩნდებოდნენ, როდესაც მათი შო-

ბელი ერი აღყვავების და გაძლიერების პროცესს განიცდიდა. ამ ხანაში ვითარდებოდა და ძლიერდებოდა ერის ცხოვრების ყოველი დარგი, მისი კულტურა მაღალ საფეხურებს აღწევდა და სწორედ ამ დროს ევლინებოდნენ მას დიდებული სარდლები და წინამძღოლნი.

თუ რომ შევისწავლით და დავაკვირდებით დიდებულ სარდლების მოღვაწეობას, მოქმედებას, ნათლად დავინახავთ, რომ იგინი ყოველთვის სასტიკად და მტკიცედ იცავდნენ სტრატეგიის ძირითად მოთხოვნილებას და მათი მოქმედება სწორედ დასტურია ამ მოთხოვნილებათა აუცილებლობისა. მათი მოქმედების გეგმა ყოველთვის მარტივია, ისევე მარტივი როგორც სტრატეგიის დებულებანი. მაგრამ ამ მარტივის გეგმის აღსრულებისათვის რამდენი ენერგია, რამდენი ძალები, ჯაფა სჭირდებოდათ ავტორებს. და მიტომ, რომ მთავარ დებულებებში, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ, არის ცნება გარემოება და ამ ცნებაში იმდენი სათუო და გამოსაცნობი საგანია, იმდენი სადავო კითხვები, შემთხვევას ესოდენი დიდი ადგილი უჭირავს, რომ ნამდვილი სიძნელე სწორედ ამ გარემოების გამოცნობაში და გათვალისწინებაშია. თქვენს წინაშე მოპირდაპირეა, რომლის ზრახვანი და გულის ნადები თქვენ არ იცით. სწორედ აქ იჩენს თავს ნიჭი, უნარი და შორს მეგრეტელობა სარდლისა. თუ რომ მედიცინაში პირველი ადგილი დიაგნოზს უკავია, სამხედრო ხელოვნებაში

სწორედ გარემოების გამოცნობას და გათვალისწინებას ეკუთვნის პირველობა. ბრძოლის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად განსჯვრეტს და გამოიცნობს სარდლის ბასრი თვალი და მახვილი გონება გარემოებას. გენიოსი სარდლისათვის ზოგჯერ საკმარისია სულ მცირდენი რამ მოქმედება მოპირდაპირისა, გინდ ეს მხოლოდ მტრის მოწინავე მზვერავების აღმოჩენა იყოს, რომ იგი უკვე მიხვდეს მოპირდაპირის მთავარ განზრახვას. ნაპოლეონისათვის ხშირად საკმარისი იყო გაეგო, რომელ მხრით მოდიან მზვერავები, რა და რა გზებით შეამჩნიეს იგინი, მან უკვე იცოდა რომელი სარპერაციო მიმართულებით იმოქმედებს მოპირდაპირის მთავარი ჯარი.

სტრატეგიის აღნიშნული მთავარი დებულება დღევანდელ ომშიაც კვლავინდებურად მეფობს. ყოველისფერი დამოკიდებრლია გარემოებაზე. და ყოველი მოქმედება გარემოებასთან შეფარდებული უნდა იყოს.—სარდლის ნიჭი და უნარი სწორედ ამ გარემოების აწონ-დაწონაში და მის ღირსეულ დაფასებაში გამოიხატება. გეგმა გარემოებაზეა დამყარებული და გეგმის აღსრულებისათვის საშუალების გამოძებნა შედარებით უფრო ადვილი საქმეა, აქ სათუო და სადაო კითხვებს ადგილი არა აქვს. ყველა სარდალმა კარგად იცის რა აქვს მას ხელთ. აქ ადგილი მხოლოდ სარდლის ნების ყოფას აქვს. გეგმა დაუყოვნებლივ და შეუჩერებლივ აღსრულებულ უნდა იქმნას.

გარემოების გათვალისწინების და განსჭვრეტის უნარი შესაფერისი გეგმის შემუშავებისათვის და ძლიერი ნების ყოფა გეგმის დაუყოვნებლივ და შეუჩერებელი განხორციელებისათვის, აი ის თვისებანი, რომელთა მატარებელი არის ყოველი ნამდვილი სარდალი. ზემოდ დასახელებული გენიოსი სარდლები სწორედ ამით იყვნენ უხვად დაჯილდოვებულნი. ასეთ პიროვნებას ერი მხოლოდ მაშინ წარმოშობდა, როდესაც აყვავების და ძლიერების ხანაში იყო. სწორედ მაშინ თვით ერში დაგროვილია ენერგია და სჩქეფს ძლიერი ნებისყოფა, სწორედ მაშინ თვით ერია შორს გამჭვრეტი და წინდახედული.

პატარა საქართველომ თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ომიანობაში და ბრძოლაში გაატარა. თითქმის მთელი მისი ისტორია არის სამხედრო ისტორია. გეოგრაფიულ მდებარეობის და ისტორიულ პირობათა წყალობით ქართველი ერი მუდამ იარაღით აღჭურვილი ბრძოლის ველზე თითქმის განუწვეტლივ იბრძოდა. ამ პირობებში სამხედრო ხელოვნება უსათუოდ უნდა განვითარებულიყო. ქართველმა ერმაც განიცადა აყვავების და ძლიერების ხანა და ამიტომ მასაც უნდა დაჰბადებოდა ნიჭიერი და სახელგანთქმული სარდალი. ერის სამხედრო ხელოვნება სწორედ მის აყვავების და ძლიერების დროისა უნდა განვიხილოთ, რადგანაც სწორედ ამ დროს საკმაოდ და ნათლად გვეხატება ამ ხელოვნების თავისებურობა და თვისება.

ჩვენ აქ ქართველ ერის სამხედრო ხელოვნების ისტორიას არა ვწერთ. საჭირო და საკმაო მასალები ხელთ არა გვაქვს და არც საკმაოდ მომზადებული ვართ. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მაგალითებს საქართველოს ძლიერების დროიდან და შეეცდებით ამ მაგალითების სტრატეგიის თვალსაზრისით დაფასებას. დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ქართველ ერის დიდი სარდლების მოღვაწეობის გაცნობა. ასეთი სარდლებით, როგორიც იყვნენ მეფე დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე და თამარის დროს მეფე სოსლანი და მხარგძელი, ყველა ერი სიამოვნებით დაიკვეხებს. ჩვენ ნათლად დავინახავთ, რომ ეს დიდებული მამულიშვილები ყოველთვის მტკიცედ იცავდნენ და ასრულებდნენ სტრატეგიის მთავარ მოთხოვნილებებს და ამით ღვაწლი ამ მხრით სამართლიანად მოითხოვს ამ სარდლების გენიოს სარდალთა პანთეონში მოთავსებას.

მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნოები იყო ის ხანა, როდესაც საქართველოს აყვავებამ და გაძლიერებამ უმწვერვალესობამდე მიაღწია. ამავე დროს დასავლეთ ევროპაში ფეოდალური წესწყობილება განმტკიცდა, რომის პაპის გავლენა მეტად გაძლიერდა და პაპი თითქმის მბრძანებელი იყო თვით ხელმწიფეებისა. დაიწყო ჯვაროსნობის ომები. რაინდობამ მაგრად ფეხი მოიკიდა და სამაგიეროდ სამხედრო ხელოვნება, როგორც ხელოვნება დაეცა. რაინდს არც სამ-

შობლოსი, არც ერისა არა სწამდა-რა, მისმა მოღვაწეობამ უფრო ავანტიურისმის ხასიათი მიიღო. სპორტად გადაიქცა. მხოლოდ სახელის მოხვეჭა, ქალისადმი უსაზღვრო თაყვანისცემა და ვითომდა ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვა. მართალია მათი დევიზი ვითომ მაშვრალთა და დევნილთა დაცვა იყო, მაგრამ ეს სრულიადაც ხელს არ უშლიდა იმავე რაინდს მგზავრი გაეძარცვა ან სოფელი აეოხრებინა. სამხედრო საქმემ ასე ვსთქვათ ინდივიდუალისტური ხასიათი მიიღო. იგი ნამდვილი ჯირითობა იყო, ფალავნობა, იგი ხელობად გარდაიქცა და სტრატეგიას აქ ადგილი აღარა ჰქონდა. იმავე დროს ბიზანტიის დაცემის და დასუსტების ნიშნები ცხადათ ემჩნეოდა. აღმოსავლეთ ევროპაში მოსკოვის სამეფო მხოლოდ გამოდიოდა ისტორიის ასპარეზზე. მხოლოდ მეათე საუკუნეში მიიღო მან ქრისტიანობა და სამეფოს გაერთიანების პროცესი მხოლოდ იწყება.

სულ სხვა სურათი გვეხატება კავკასიაში და მცირე აზიაში. არაბებმა მაჰმადის შემდეგ მეტად გაანვითარეს სამხედრო ხელოვნება, ბევრი რამ ახალი შემოიღეს ბრძოლის წარმოებაში. მამაცი, კარგად გაწვრთნილი ჯარი, ფანატიზმით გატაცებული დიდს საშიშს ძალას წარმოადგენდა ენერგიით სავსე ნიჭიერ ხალიფების ხელში. აკი ამიტომ თავზარი დასცეს ევროპას და აზიას, დაიპყრეს სირია, პალესტინა, გაანადგურეს ძველი სპარსეთი და მცირე აზიის ნაწილი და შემოიჭრნენ კავ-

კასიაში. თითქმის სამი საუკუნე . დაჰ-
ყვეს არაბებმა საქართველოში და ამ
ხნის განმავლობაში მათი ბატონობის
მძიმე უღელს მუდამ გრძნობდა ქარ-
თველი ერი. მუდმივ ბრძოლაში და
შეტაკებებში იზრდებოდა და იწვრთნე-
ბოდა ქართველების ჯარი. ცხადია,
არაბთა სამხედრო ხელოვნებამ დიდი
გავლენა იქონია ქართველების სამხედ-
რო ხელოვნებაზედ თუ მოვიგონებთ,
რომ იმ დროს სწორედ არაბებმა გა-
ანავითარეს და მაღალ საფეხურზე აი-
ყვანეს სამხედრო ხელოვნება, დავრ-
წმუნდებით, რომ ქართველების ჯარს
კარგი მასწავლებელი ჰყავდა. ამ დრო-
ინდელ ჯარის მოქმედებას, მის ტაქ-
ტიკას ცხადათ ემჩნევა ეს გავლენა.
არაბებმა წინანდელი ბრძოლის წესი
და ჯარების ბრძოლისათვის დაწყობა
შესცვალეს, მათ სამხედრო წყებას ცხა-
დათ ემჩნევა დანაწილება, იგი უფრო
მოძრავია, უფრო ადვილად სარგებ-
ლობს ბუნებრივი და ხელოვნური სი-
მაგრეებით, თვით ბრძოლის პროცესში
ერთგვარი თანდათანობაა. ჩნდებიან
წინმავალი და უკანმავალი რაზმები,
მზვერავები, პირის-პირ შეხლის გარდა,
მიმართავენ აგრედვე ჯარის წვერების
შემოვლას, საკვები გზების გადაჭრას.
განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლე-
ვა ცხენოსან ჯარის ხმარებას. არაბთა
ჯარი არ ცდილობს უსათუოდ სწორს
და წინად არჩეულ ბრძოლის ველზე
გამართოს ბრძოლა, იგი პირიქით ხში-
რად ცდილობს მოულოდნელად და
სწრაფად დაეცეს მტერს, სადაც კი
მოასწრობს.

ყველა ეს ცხადად ემჩნევა, როგორც დავინახავთ ქართველების ჯარს და ამით კი არაბთა გავლენა მტკიცდება.

მეორეს მხრით ხანგრძლივ ბატონობის შემდეგ, როგორც ეს ყოველთვის ხდება, არაბები თანდათან სუსტდებიან, თვით მათ შორის შინაგანი უთანხმოება და ამირთა ურთიერთ ციქლობა იჩენს თავს და ყველა ეს, რა თქმა უნდა, მათ სამხედრო ძალას ასუსტებს და თვით ჯარში დეზორგანიზაცია შეაქვს, რასაც თან სამხედრო ხელოვნების დაცემა მოსდევს. სამაგიეროდ ქართველი ერი იღვიძებს, წელში მაგრდება და თანდათან მძიმე უღლის მოშორებას ცდილობს. კულტურით არაბები იმდენად მაღლა არ იდგნენ ქართველებზე, რომ დაპყრობილი ერი გადაეგვარებინათ და საბუდამოდ შთაენთქათ. თავის მხრით არც ქართველები იყვნენ იმდენად კულტუროსანი, რომ არაბები გაეთქვიფათ და ერთ ერად ქცეულიყვნენ. არაბები ესტუმრნენ საქართველოს და სტუმრადვე დაშთნენ. სტუმრობა იგი ნაძალადევი იყო და ასეთი სტუმარი ბოლოს და ბოლოს უსათუოდ დაუძლურების გზას დაადგებოდა და დაადგა კიდეც.

სწორედ ამ ხანაში საქართველოში გამეფდა დავით აღმაშენებელი. ვიდრე მის სამხედრო მოღვაწეობას შეუდგებით, საჭიროა გავითვალისწინოთ საქართველოს მაშინდელი საზღვრები და მდებარეობა და დავაფასოდ სწორედ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით. საქართველოს ჩრდილოეთით საზღვრავდა მთა კავკასიისა, დასავლეთით,

ზღვა პონტოსი (შავი ზღვა) და აღმოსავლეთით ერთ დროს ზღვა გურგანისა (კასპიისა) სამხრეთით კი „საზღვარი ხშირად იცვლებოდა და სწორედ ამ საზღვრის დაცვა-გაფართოება იწვევდა დაუცხრომელ ბრძოლას. იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ვეხებით, საქართველოს აღმოსავლეთის ასპარეზი გურგანის ზღვის ბევრით დასავლეთით მდებარეობდა. აქ მის მოსაზღვრედ შირვანი, არანი და დვინი იყვნენ. აღნიშნულ საზღვართა შიგან მდებარეობდა ძველი საქართველო. საქართველო რამდენიმე კუთხედ იყოფებოდა, რომელნიც ერთი მეორისაგან მომეტებულ ნაწილად ბუნებრივ ხაზებით ისაზღვრებოდნენ.

სახელმწიფოს დაცვისათვის საზღვრებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ღია საზღვრები, ადვილად გასავლელი, მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობას უადვილებენ, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობენ, ურთიერთზე გავლენის მეტს საშუალებას აძლევენ, სამაგიეროდ სახელმწიფოს დაცვას მეტად აძნელებენ, მტერს შემოსევას უადვილებდნენ. მათი დაცვისათვის უფრო მეტი ჯარია საჭირო. ასეთს საზღვრებს მუდამ ფნდა უდარაჯონ. თუ პატარა საქართველომ აუარებელ მტერთა შემოსევას გაუძლო, თუ იგი სამუდამოდ არ გაჰქრა დედამიწის ზურგიდან, თუ მან დაალწია მაინც და მაინც თავი ისეგვლივ შემორტყმულ გაშმაგებულ მტერთ, ამის მიზეზი, სხვათა შორის, საქართველოს საზღვრების ბუნებრივ თვისებებ-

ში უნდა ვეძიოთ. ამ მხრით საქართველო ერთს უზარმაზარ ბუნებრივ ციხეს წარმოადგენდა, რომელსაც რამდენიმე შესავალი კარი ჰქონდა. ამ ციხის გალავანს, ე. ი. საზღვრებს სუსტი ადგილებიც მოეპოვებოდა და ჩვენ დავინახავთ, რომ საუკეთესო ქართველ სარდლების ყურადღება სწორედ ამ სუსტ ადგილების დაცვისა და გამაგრებისაკენ იყო მიქცეული.

მეტად პატარა სამეფო იყო საქართველო, იგი ფართე იმპერიალისტურ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა, იგი ვერ აწარმოებდა ამიტომ ფართე შეტევითი ომს. იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დაცვისათვის და თუ ზოგჯერ მისი სახელოვანი სარდლები შორს უცხო ტერიტორიაში ილაშქრებდნენ და მტრის სამეფოს თითქმის შუაგულს შეესეოდნენ, ეს მხოლოდ აქტიური მოგერებითი ომი იყო. ჯარი აქ არა შეებოდა და ბრუნდებოდა სამშობლოში. ეს იყო საზღვრების აქტიური დაცვა. ამ რიგად ქართველები თავიდან იცლიდნენ მტრის შემოსევას საკუთარ მიწა-წყალში. ამგვარი ბრძოლისათვის დიდი აქტივობა და ინიციატივის უნარი იყო საჭირო. ჯარი სამშობლოს მუდმივ დარაჯად უნდა მდგარიყო, მუდამ მზად ყოფილიყო შემომსევ მტრის დასახვედრად. ჩვენ დავინახავთ, რომ საუკეთესო ქართველი სარდლები საკმაოდ იჩენდნენ ინიციატივასა და აქტივობას.

ჩრდილოეთით მაგარი და ძლიერი ზღუდე, ბუნებრივი კედელი ჰფარავდა საქართველოს. კავკასიის მთები მხო-

ლოდ სამ ადგილას იყო გასავლელი 1) ოსეთის გზით, რომელიც ქუთაისი-დან იწყება და რაჭა-ლეჩხუმით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიდის, გადალახავს კავკასიის მთებს (ჭანჭახის გადასავალი) და მიდის ეხლანდელ დარკოხთან; 2) დარიალის ხეობა, არაგვის და თერგის ველებით; 3) გზა დარუბანდისა. პირველი გზა მეტად მძიმე სავალი იყო; მეორე მართალია შედარებით უფრო ადვილი სავალია, მაგრამ ვიწრო ხეობის დაცვა და გამაგრება ძნელი არ იყო და სულ მცირედი ჯარი გააჩერებდა მრავალ რიცხოვან მტერსაც კი; მესამე გზა მეტად შორი და ამასთანავე მძიმე სავალი იყო. გარდა ამისა იმ დროს კავკასიის მთების იქით არ მოიპოვებოდა ისეთი ძლიერი და დიდი სახელმწიფო, რომლის ჯარი შესძლებდა მაღალი ქედის გადმოლახვას და საქართველოში ფარული შესევას. თუ შემდეგში ოსები და ლეკები შემოცვივდებოდნენ და იკლებდნენ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილს, ეს უფრო ყაჩაღური დაცემა იყო ხოლმე, მცირე ჯგუფებით მოდიოდნენ და თუ ახერხებდნენ რასმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროს თვით საქართველო დაქსაქსული, გაძვალტყაეებული და ღონემიხდილი, დაუძლურებული იყო და ავაზაკთა ბრბოს თარეში უადვილდებოდა.

ასე რომ ჩრდილოეთით საქართველო თითქმის სავსებით უზრუნველყოფილი იყო. ამგვარადვე უზრუნველი იყო დასავლეთის მხრით, შავი ზღვის პირებით. იმ დროს არ მოიპოვე-

ბოდა ამ ზღვის ნაპირას მდებარე ნაოსნობით ძლიერი სახელმწიფო. ერთად-ერთი ბიზანტია, რომელსაც სხვებთან შედარებით ნაოსნობა უფრო განვითარებული ჰქონდა, მაინც ზღვით ფართო ოპერაციებს ვერ აწარმოებდა. მაშინდელი ხომალდები შორს ზღვით გალაშქრებას ვერ ბედავდნენ, მით უმეტეს ისეთი მოუსვენარი ზღვით, როგორიცაა შავი ზღვა. თუ ეხლაც კი დესანტის გადასხმა, როდესაც ზღვაში რკინით მოჭედელი გოლიათები თავისუფლად ნავარდობენ, მაინც ძნელ ოპერაციად ითვლება, მაშინ ხომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ბიზანტიელები საქართველოში ყოველთვის ხმელეთით ილაშქრებდნენ. ასეთი იყო ჩრდილოეთის და დასავლეთის საზღვრები.

აღმოსავლეთის საზღვრები დანამდვილებით და ზედმიწევნით არ არის გამორკვეული, ყოველ შემთხვევაში ამ საზღვრებს ზემოაღნიშნულ საზღვრებზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. მოსაზღვრე სახელმწიფონი მართალია, იმდენად ძლიერნი არ იყვნენ, საფრთხეს წარმოადგენდნენ, მაგრამ თვით საზღვარი იმგვარიივე იყო და იმდენად ახლოს კენტრთან, რომ ამ მხრით საფრთხე მოელოდა. უფრო მნიშვნელოვანი და საშიში მიმართულება განძიდან მომავალი გზებია. ამ მიმართულებით წამოსული მტერი მტკვრისა, ან და ივრის ნაპირებით ადვილად შეესეოდა საქართველოს, საქართველოს დედა ქალაქი, ტფილისი ამ მხრით საკმაოდ დაფარული არ იყო.

მართალია მტკვრის მარცხენა ნაპირი და ქვემო იერის ველი თითქმის უდაბნოს წარმოადგენენ, ამ გზით სელა ჯარისათვის მეტად ძნელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წამოსული ჯარი თავის მარცხენა წვერს მტკვრის მარჯვენა ნაპირით მდებარე მთებს მიაბჯენდა და ამით უზრუნველჰყოფდა, გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს სამხრეთითაც მოსაზღვრედ მაჰმადიანთა სამეფონი ჰყავდა და მაჰმადიანები ხშირად შეერთებული ძალით მოდიოდნენ იერიშით, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში განძის მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. აქედან შეიძლებოდა ქართველ ჯარისათვის გვერდით მოეკლოთ და იმ დროს, როდესაც იგი სამხრეთით შემოსეულ მტერს ებრძოდა, განძიდან წამოსულ მოპირდაპირეს მისი მარცხენა წვერისათვის მოეკლო და ზურგით მოჰკცეოდა. განძის მიმართულება იმდენად საშიში იყო ქართველებისათვის, რომ ხშირად ნახჭავანიდან წამოსული თურქები განძაზე მოდიოდნენ და აქედან შეესეოდნენ ხოლმე საქართველოს ტერიტორიას. ამიტომ განძას ქართველები დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ და ხშირად ილაშქრებდნენ აქედკენ ტ დიდი შანქორის ომი თამარის დროს ეწორედ ამ მიზეზით იყო გამოწვეული. ორავის მხრით ქართველების მოპირდაპირეთ კარგად ესმოდათ განძის მნიშვნელობა და ამიტომ განძის მფლობელს გაპირების დროს მისი მეზობლები ყოველთვის აქტიურ დახმარებას უწევდნენ.

უპირატესობა ეკუთნოდა საქართველოს სამხრეთის საზღვარს. სახელმწიფოს დაცვისათვის სწორედ ამ საზღვარს ჰქონდა მთავარი მნიშვნელობა. აქ საქართველოს მეზობლად ძლიერი და დიდი სახელმწიფოები იყვნენ. სპარსეთი, მემდეგ არაბები და თურქები, ბიზანტია. ერთი მეორის მეტოქეობაში და ცილაობაში ყველა მათგანს თვალი მუდამ საქართველოსაკენ ეჭირათ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის მხარეს იქნებოდა საქართველო. სპარსეთის და არაბ-თურქების ბიზანტიასთან ომების დროს საქართველოს ჯარს შეეძლო ამა თუ იმ მოპირდაპირესათვის დიდი სამსახური გაეწია, ან დიდი ზიანი მიეყენებინა. მაგრამ თვით საქართველოსათვისაც სამხრეთის საზღვარს დიდი პოლიტიკურ-კულტურული და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: უმთავრესი საჭაპრო გზები, საერთაშორისო ურთიერთობა და დამოკიდებულება, სწორედ ამ საზღვრებს ეკროდნენ მაშინდელი კულტურული ქვეყნები, აქედან მიდიოდნენ გზები ბიზანტიაში და რომში, მაშასადამე ევროპაში. აქ მოსაზღვრე დიდი სახელმწიფონი იმპერიალისტური მისწრაფებით გატაცებული იყვნენ. სწორედ ამიტომ მთავარი შემოსევანი და შეტევანი აქედან იყო მოსალოდნელი და ეს ასეც ხდებოდა. ამ საზღვრებით შემოსეული მტერი უახლოესი გზით შეიჭრებოდა შუაგულ საქართველოში და მიადგებოდა მის მნიშვნელოვან ცენტრებს. ამიტომ საჭიროა ამ საზღვრის უფრო დაწვრი-

ლებითი განხილვა. საქართველოს ნაწილი, რომელიც ამ საზღვარს ეკრა მუდმივ ბრძოლის ასპარეზად იყო ქცეული.

ამ საზღვრის მნიშვნელობა და თვისებანი ჩვენთვის რომ უფრო ნათელნი იყვნენ, უნდა საქართველოს შემადგენელ კუთხეების მდებარეობა და მათი საზღვრები გავითვალისწინოთ.

ჩრდილოეთით მოსაზღვრე კავკასიის მთების დასავლეთ ნაწილს შეადგენდნენ მთანი აფხაზეთისანი. კავკასიის მთების მთავარ ქედიდან ბევრი შტოები გამოდის და მათ შორის ჩვენთვის აღსანიშნავია: 1) ლიხის მთა, რომელიც დაახლოვებით მდ. ყვირილას სათავედან იწყება და მიდის სამხრეთ-დასავლეთისაკენ, თითქმის ბორჯომის ხეობამდე; აქედან მიტრიალდება უფრო დასავლეთით და აქ მის გაგრძელებას ეწოდება მთა ღადოსი (ზოგიერთ ეხლანდელ რუქაზე ახალციხის მთებს უწოდებენ), შემდეგ ეს შტო პირდაპირ დასავლეთისაკენ წავა და ასე თითქმის ზღვის პირას იღწევს. ამ ნაწილს უწოდებენ აჭარის მთებს. 2) მთა არსიანისა, რომელიც იწყება იქ სადაც ღადოს და აჭარის მთები ერთდებიან და მიდის პირდაპირ სამხრეთისაკენ თითქმის არტანუჯის და არტაანის შუა მდებარე ადგილამდე; და 3) მთანი კახეთისანი, რომელნიც იწყებიან ზემო არაგვის მარცხენა ნაპირით, ჯერ მიდიან სამხრეთით გომბორამდე და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აქვთ მიმართულება. შემდეგ აღსანიშნავია, სომხითის მთა, იწყება ფარავნის

ტბასთან ახლოს, მიდის ჯერ სამხრეთით და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიღრიალდება.

დასახელებული მთები სტრატეგიის მიხედვით მთელ საქართველოს ტერიტორიას სამს მთავარ ნაწილად ჰყოფენ: დასავლეთი ნაწილი—ზღვის პირით დაწყებული აღმოსავლეთით ლიხისა და არსიანის მთებამდე, შუაგული ნაწილი—ლიხისა და არსიანის მთებიდან დაწყებული კახეთის და სომხითის მთებამდე და აღმოსავლეთი ნაწილი—კახეთი, ე. ი. ივრის და ალაზნის ველები. სტრატეგიის მხრით ეს ნაწილები სხვა და სხვა ღირსების და მნიშვნელობისანი არიან. — განვიხილოთ ყველა მათგანი ცალცალკე. დასავლეთი ნაწილი ანუ ასპარეზი ჩრდილოეთით ისაზღვრება აფხაზეთის და სვანეთის მთებით, აღმოსავლეთით ლიხისა და არსიანის მთებით, სამხრეთით მთა კოლასი და ორჯოხის მთა; დასავლეთით ზღვის პირი. დასახელებულ საზღვართა შიგნით მდებარეობდნენ შემდეგი მხარენი, ჩრდილოეთით მოყოლებული სამხრეთისაკენ: აფხაზეთს და სვანეთს მოსდევდნენ ეგრისი (სამეგრელო), ქუთაისი და რაჭა-ლეჩხუბი, შემდეგ გურია, რომლის სამხრეთ საზღვრად აჭარის მთები იყო, შემდეგ აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი და მერმე ტაო ბასიანი. დასავლეთი ასპარეზი აღმოსავლეთ დასავლეთითაც იყოფებოდა მთებით. გარდა აჭარის მთებისა, ასეთივე მიმართულებისანი არიან შავშეთის და კლარჯეთის მთანი. ასე რომ ასპარეზი სამი მხრით

თითქმის შემოზღუდულია მთებით და გარდა ამისა სამ ალაგას გადაჭრილია აგრედვე მთებით. მეტად ხელსაყრელია ტოპოგრაფია ამ ტერიტორიის დაცვისათვის. სამხრეთიდან ბასიანი ტაოთი წამოსულ ჯარს წინ ეღობება ჯერ კლარჯეთის მთები. შემდეგ შავშეთისა და მერმე აჭარისა. აღმოსავლეთიდან წამოსული ჯარი მიაწყდება ან ლიხის ან და არსიანის მთებს; ჩრდილოეთით ხომ ეს ასპარეზი თითქმის მიუვალია. მივაქცევთ ამგვარ მდებარეობას მკითხველის ყურადღებას. ამგვარი ტოფოგრაფიის წყალობით მაგალითად აფხაზეთი ეგრისითურთ შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან ბევრით უკედ იყო დაფარული და მტრის შემოსევისაგან ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი. ამ გარემოებით აიხსნება, რომ სწორედ აფხაზეთში დაიბადა პირველად აზრი განცალკევებულ და დანაწილებულ საქართველოს გაერთიანებისა. აფხაზეთი მტრის დარბევისაგან უფრო იყო რჩენილი და შენახული და თვით საქართველოს მეფეები არა ერთხელ გაჭირების დროს აქა ჰპოვებდნენ საფარს აფხაზეთის მეფეები იმდენად არ იყენენ მტრისაგან დაჩაგრული და სასოწარკვეთილნი და სწორედ მათ უნდა გამოეჩინათ ინიციატივა დიდს საისტორიო საქმეში, საქართველოს გაერთიანებაში. გარდა მთებისა, მდინარეთა მიმართულებაც ხელს უწყობდა ამ ასპარეზის დაცვას. აჭარის მთების გასწვრივ ჩრდილოეთით დის რიონი, იმავე მთების გასწვრივ სამხრეთით დის აჭარის

წყალი; შავშეთის და კლარჯეთის მთა-
თა შუა დის იმერხევი; ქვემო ჭოროხი ჰფარავს სამხრეთ - დასავლეთის
მხრით. ამ რიგად ასპარეზი თვით ბუ-
ნებით კარგად არის გამაგრებული და
სამხრეთიდან წამოსულ მტერს დიდს
წინააღმდეგობას გაუწევს. ამით აიხ-
სნება, რომ ბასიან-ტაოთი შემოსეუ-
ლი მტერი საქართველოსკენ გალაშ-
ქრებისათვის არტაანზე მიმავალ გზებს
ირჩევდა და დასავლეთ ასპარეზს აღ-
მოსავლეთით უვლიდა. აღმოსავლეთის
მხრით ამ ასპარეზში შესევა ან არ-
ტაანიის ან და სამცხის მხრით
შეიძლებოდა. პირველ შემთხვევაში
მტერს არსიანის მთა უნდა გადაელა-
ხა არტაან-არტანუჯის გზით (ანაკერ-
ტის გადასავალი, ეხლანდელი იალა-
გიუზამის გადასავალი). სწორედ აქ
იყო მაგარი ციხე ანაკერტი. მეორე
შემთხვევაში ახალციხიდან შეიძლებო-
და შესევა აჭარაში, რისთვისაც აგ-
რვდვე არსიანის მთები უნდა გადაე-
ლახა, გოდერძის გადასავალით. აქ ცი-
ხე გოდერძი იყო აშენებული. და ახალ-
ციხიდანვე შეიძლებოდა ქუთაისისაკენ
გალაშქრება, რისთვისაც ღადოს მთის
გადალახვა იყო საჭირო (ზეკარის გა-
დასავალი) აქ აშენებული იყო მაგარი
და ძლიერი ციხე ოძრახე (აბასთუმანი)
ყურადღების ღირსია ამ ორი ციხისა-
თვის ადგილების არჩევა. ციხე ოძრახე
ჰფარავდა ღადოს მთის გადასავალს
და ამასთანავე ჰკეტავდა მდ. კერშევე-
ტის ველის შესავალს. ეს მდინარე კი
შემდინარეა ხონის წყლისა. მაშასადა-
მე ეს ციხე ჰფარავდა რიონის ველში,

ქუთაისთან ჩამავალ გზას. შემოვლა და აცდენა ამ ციხისა შეუძლებელი იყო. მას ორივე მხრით მაღალი მთები და ხევები არტყია და ქუთაისისაკენ წამოსული მტერი უსათუოდ ამ ციხეს უნდა მისდგომოდა. ამ გვარივე მნიშვნელობა ჰქონდა გოდერძის ციხეს, იგი არსიანის მთაზე გადასავალის დაფარვის გარდა ჰკეტავდა აგრედვე აქარის წყლის ხეობას და ამ ხეობით როგორც აქარაში აგრედვე, შემდეგ ჭოროხის ხეობით, შავშეთ-კლარჯეთშიაც შეიძლებოდა შესვლა. გოდერძის ციხის აცდენა და შემოვლაც შეუძლებელი იყო. ერთის მხრით აყუდებულია ნამარის და მეორეს მხრით თლილოს მთები. მათი სიმაღლე თითქმის 800 ფუტს უდრის.

აღსანიშნავია სამხრეთით არტანუჯის ციხე, ეს კარი საქართველოსი. არტანუჯით მოდიოდა დიდი გზა „გზა ქართლისა". ამ გზით მომავალი ჯერ კლარჯეთს შევიდოდა და შემდეგ „არსიანის კარით" ან სამცხეში ან და ჯავახეთში და აქედან კი ქართლში. გარდა ამისა არტანუჯი ჰკეტავდა ჭოროხის ველში ჩასავალ გზას. არტანუჯის სამხრეთით აგებული იყო ჭოროხის ველში ციხე თუხარისი (იშხანის მახლობლად). ამ ციხის ახლოს ერთდებოდნენ ტრაპეზუნთიდან, არზრუმიდან და ხოროსნიდან მომავალი გზები. აქვე ახლოს ჭოროხს უერთდება ოლთისის წყალი და თავის-თავად ცხადია, რა მნიშვნელობა ჰქონდა თუხარისის ციხეს.

ასეთი იყო დასავლეთის ასპარეზი. სულ სხვას წარმოადგენდა შუა-გული

ნაწილი, ცენტრალური ასპარეზი: იგი ჩრდილოეთით დაფარულია აგრედვე კავკასიის მთებით. მაგრამ სწორედ აქ არის საუკეთესო გზა კავკასიის მთების გასავალი. როგორც ნათქვამი გვქონდა, იმ დროს ჩრდილოეთის საზღვარის იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ამ ასპარეზს კახეთის მთები საზღვრავდნენ და აღმოსავლეთით მდ. მტკვრის ნაწილი და შემდეგ მტკვრის შემდინარე ბერდუჯი (ახლანდელი დებედჩაი): სამხრეთით მთანი სომხითისანი, ქ. ანისის და კარის მიდამოები და შემდეგ მთა—კოლასი. დასავლეთით—ლიხის, ღადოს და არსიანის მთები. ამრიგად მხოლოდ ჩრდილოეთით და დასავლეთით ჰქონდა საკმაო საფარი, მაღალი, ძნელად გასავალი მთები და ეს მთები მას საზღვრავდნენ თავისივე სამეფოს ნაწილებისაგან და სწორედ იქ, სადაც ძლიერი საფარი იყო საჭირო, ე. ი. აღმოსავლეთით და სამხრეთით, იქ ჩვენ ასეთს ზღუდეებს არა ვხედავთ, საიდანაც ყოველთვის შიში იყო, ბევრი კარები, ადვილად შესავალი ჰქონდა ასპარეზს. საუბედუროდ, მთავარ ქედებისა და მდინარეების მიმართულებაც უძნელებდა ტერიტორიას დაცვას და მტერს შემოსევას უადვილებდა. ამ მთავარ ქედებს მიმართულება უმთავრესად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აქვთ. არსიანის მთა და მისი გაგრძელება მთა—კოლასი, სოლანლუღის მთა, სომხითის მთების ნაწილი, ფარავნის ტბის ადმოსაელეთით („მოკრია გორი") და სწორედ ამ მთათა შუა მო-

დიან საუკეთესო გზები ჩრდილო-დასავლეთის ან და ჩრდილოეთისაკენ. მდინარეებსაც აგრედვე იგივე მიმართულება აქვთ: მტკვარი, თითქმის ტასისკარამდე (ქვეშზეთის მახლობლად), საერთოდ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დის; ასეთივე მიმართულება აქვთ უმეტეს ნაწილად მის შემდინარეებს. მხოლოდ თვით მტკვარი ტასისკარიდან დაწყებული მცხეთამდე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დის და ტფილისის მახლობლად კიდეე ასეთი მიმართულება მის ორს შემდინარენ ალგეთის წყალს და ქციას (ხრამი) აქვთ. რახსი (არაქსი) ეჩმიაძინიდან დაწყებული ნახჭავამდე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დის ასე რომ მისი ხეობით ადვილად შეიძლებოდა შემოსევა ანისისაკენ საქართველოს ტერიტორიაში. მართალია, აქაც არის ორი ქედი, რომელთაც მიმართულება აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენა აქვთ: თრიალეთის მთა და სომხითის მთების სამხრეთი ნაწილი, მაგრამ ამას მნიშვნელობა ეკარგება, რადგანაც თრიალეთის მთა და მისი ნაწილი არჯავანის მთა მდ. მტკვრის ნაპირის ახლოს მდებარეობენ და ტფილისისაკენ წამოსული ჯარი ადვილად მოუვლის მათ სამხრეთით. აგრედვე ადვილად მოუვლის დასავლეთით სომხითის მთებს.

ამ რიგად ცხადია, რომ ცენტრალურ ასპარეზის სამხრეთი საზღვრები ადვილი გადასალახი იყვნენ. მთების შუა და მდინარეთა ველებით მტერი პირდაპირ წამოვიდოდა შუაგულ ქართლისაკენ და სამეფოს მთავარ ცენტრებს

მიადგებოდა. და სწორედ ამ მხრით მოდიოდა საქართველოში მრავალი კარგი გზები. სწორედ ამ მხრით მოიწევდნენ მტრები და სწორედ ამიტომ, სხვებთან შედარებით ცენტრალური ასპარეზის ნაწილები ყველაზე მეტად ირბეოდნენ. ყველაზე ხშირად აწიოკებულ და აოხრებულ იქმნენ. ცენტრალურ ასპარეზის ხელში ჩაგდებით და აქ დამკვიდრებით შემოსეული მტერი მთელი საქართველოს ბატონად ხდებოდა და მთელს სახელმწიფოს შუაზე არღვევდა: ცასავლეთ-საქართველოს სწყვეტდა აღმოსავლეთისას და იადვილებდა როგორც დასავლეთის ასპარეზში შესევას, აგრედვე კახეთის დაპყრობასაც. ზემოდ აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ-საქართველოში შესევა, ე. ი. არსიანის მთის გადალახვა შედარებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე სამხრეთის მხრით შესვლა, სადაც მთელი რიგი მთებისა და მდინარეებისა წინ ეღობებოდა, ამიტომაც არის, რომ ვიდრე ცენტრალურ ასპარეზის საზღვრები სათანადოდ არ გაამაგრეს და არ დაიმკვიდრეს, ვერ შესძლეს ქართველებმა საქართველოს საბოლოო გაერთიანება. ამიტომაც არის, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა შემდეგში საბოლოოდ წაჰგლიჯეს საქართველოს ცენტრალურ ასპარეზის სამხრეთი ნაწილი, საქართველომ ვეღარ გაისწორა წელი, ვეღარ გაუძლო მტრებს ულმობელ ბედის წინაშე მოიხარა ქედი და „ჩრდილოეთისაკენ“ აღაპყრო თვალნი.

შუაგულ ასპარეზის საერთო განხილვის შემდეგ, გავითვალისწინოთ ის მთა-

ვარი საოპერაციო მიმართულებანი, საიდანაც მტერს შეეძლო მაშინდელ საქართველოში შემოსევა. დავიწყოთ სამხრეთ - დასავლეთიდან. როგორც ვსთქვით, შემოსევა მდინარეთა ველებით და მთათა შუ ხევებით შეიძლებოდა. კარნუა ქალაქის (არზრუმი) წამოსულ ჯარს შეეძლო გადმოელახა ბასიანი და მდ. ოლთისის ველით გადმოეველო ოლთისი, კოლა და შემდეგ ზემო მტკვრის ველით არტაანს მისდგომოდა. არტაანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ შემთხვევაში; აქედან შეიძლებოდა როგორც დასავლეთის ასპარეზში, არსიანის მთის გადალახვით შესევა (არტანუჯში გადასვლა), აგრედვე არსიანის მთის აღმოსავლეთით სამცხეში გადასვლა და ახალციხის დაპყრობა. აქედან კი მტერს შეეძლო როგორც აჭარაში, აგრედვე ლადოს მთის გადალახვით, ქუთაისისაკენ გალაშქრება. იმავე ახალციხიდან ბორჯომის ხეობით ზემო ქართლში შესევა და ქ. გორის დაპყრობა შეიძლებოდა; ასე რომ არტაანის და ახალციხის დაპყრობა მტერს ბევრ გზებს უხსნიდა და მას გარემოებისა და საკუთარ მიზნის მიხედვით შეეძლო ამა თუ იმ საოპერაციო მიმართულების არჩევა. აღნიშნული გზით წამოსულ ჯარს შიში მოელოდა მხოლოდ დასავლეთ ასპარეზის მხრით. კლარჯეთ-შავშეთ-აჭარის მხრით შეიძლებოდა მას გვერდით დასცემოდნენ და უკან სახევი გზა გადაეკრათ. მაგ., ციხე ანაკერტის, არსიანის კარის ან და ციხე გოდერძის მხრით, მაგრამ ამ შემთხვევაში მტერს

შეეძლო იმავე ზემო მტკვრის ველით დაეხია, მთა კოლისათვის აღმოსავლეთით მოეარა და კარის (ყარსი) მიდამოებში გადასულიყო.

არტაანის მნიშვნელობა მარტო ამით არ ისაზღვრებოდა: აქედან შეიძლებოდა ჯავახეთში შესვლა მდ. მტკვრის ხეობით. ჯარი პალაკაციოს ტბას (ეხლანდელი ჩალდირგიელ) ჩრდილოეთით მოუვლიდა და ახალქალაქს დაიპყრობდა. ახალქალაქიდან კი მას შეეძლო გალაშქრება: ბაკურიანს გადალახავდა და ბორჯომის ხეობაში ჩავიდოდა ან და ფარავნის ტბას ჩრდილოეთით ასცდებოდა და მდ. ქციის (ხრამი) სამშვილდის მიადგებოდა, რომელიც წინა საფარი იყო ტფილისისა. ახალქალაქიდან, რა თქმა უნდა, ახალციხეშიაც შეიძლებოდა გადასვლა.

ცხადია რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ სამკუთხედს — არტაან-ახალციხე-ახალ-ქალაქი. ეს იყო შუაგული, ციტადელი მთელი იმ ბუმბერაზ ციხისა, რომელსაც წარმოადგენდა საქართველო. ამ სამკუთხედის ხელში ჩაგდებით და აქ დამკვიდრებით მტერს საშუალება ეძლეოდა თავისუფლად ეწარმოებინა ოპერაციები და ის მიმართულება აერჩია, რომელსაც მოისურვებდა. საკვები და უკან დასახევი გზები საკმაოდ მოეპოვებოდა, ოლთისისაკენ, კარისაკენ, ანისისაკენ და თუნდაც ერევან-ნახჭავნისაკენ. მაშასადამე საქართველოს ცენტრალურ ასპარეზის და მაშასადამე მთელი სამეფოს დაცვისათვის აუცილებლივ საჭირო იყო აღნიშნულ

სამკუთხედის მედგარი დაცვა და გამაგრება. მეორე მიმართულება, რომლითაც შეიძლებოდა ცენტრალურ ასპარეზში შემოსევა, იყო კარის მიმართულება. ხოროსნიდან წამოსული ჯარი ჩრდილოეთით რახს გადალახავდა, აღმოსავლეთით მოუვლიდა სოღანლუღის მთებს და მიადგებოდა კარს (ყარსი). აქედან კი მას შეეძლო ან არტაანში ან და ახალქალაქში გადასვლა. მაშასადამე იმავე სამკუთხედს ჩაიგდებდა ხელში, რომლის შესახებ ზემოდ გვქონდა ნათქვამი. კარიდან შეიძლებოდა აგრედვე ჩრდილო-აღმოსავლეთით გალაშქრება. იგი გადალახავდა სომხითის მთებს (ბეზაბდალის გადასავალი) და ჩავიდოდა ლორის მინდორში. აქედან ან სამშვილდეს მიადგებოდა, ან და მას სამხრეთ-აღმოსავლეთით მოუვლიდა, მაგ. მდ. ბერდუჯის ველით. შემდეგი მიმართულება საქართველოში გალაშქრებისათვის იყო ქ. ანისის მიმართულება. ქ. დვინიდან წამოსული ჯარი დიადინს მიადგებოდა, შემდეგ რახს გადალახავდა იგდირს და ყულფის შუა და მიადგებოდა ქ. ანისს. ანისიდან მას შეეძლო, როგორც დასავლეთით კარისაკენ გალაშქრება, აგრედვე ჩრდილოებისაკენ ახალქალაქზე, ან და ჩრდილო-აღმოსავლეთით ლორის მინდვრით სამშვილდისაკენ ან და ლორითვე ბერდუჯის ხეობით უფრო აღმოსავლეთით გადასვლა. შთება კიდევ ერთი მიმართულება, რახსის ველი ნახჭავანიდან მოყოლებული ეჩმიაძინერევნამდე. ადარბაგანიდან წამოსულ ჯარს ამ მიმართულებით შეეძლო

ჩრდილოეთისაკენ ტფილისის სამხრეთ სანახეებში შესევა, ან და გელაქუნის ტბის აღმოსავლეთით განძა-შამქორი-საკენ გალაშქრება, ე. ი. რანში შესვლა. ერევნიდანვე შესაძლებელი იყო წამოსვლა გელაქუნის ტბის დასავლეთის ნაპირით და მდ. ახსტაფის და შემდეგ მტკვრის ველებით ტფილისზე დაცემა

მთავრ შიმართულებების განხილვა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ერთობ საქართველოს და კერძოდ მის ცენტრალურ ასაპარეზის დაცვისათვის აუცილებლივ საჭირო იყო ოლთისის—კარის—ანისის—ლორის და შამქორის ხაზის დაპყრობა და გამაგრება. მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს დამცველთ ხელთ ეპყრათ ეს ხაზი, მხოლოდ მაშინ შეეძლოთ თავისუფლად სუნთქვა და სამეფო ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი იქნებოდა მტრის შემოსევა-დარბევისაგან. ცენტრალურ ასპარეზის დასავლეთ ნაწილში განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ვსთქვით, ჰქონდა სამკუთხედს —არტაანი— ახალციხე — ახალქალაქი. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ასპარეზის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში სამკუთხედს, კარი—ანისი—ლორი. ამ ორ სამკუთხედში ერთიც რომ ჩავარდნოდა მტერს ხელში, ეს უკვე მისთვის დიდი გამარჯვება იყო. სწორედ ამიტომ აუცილებლივ საჭირო იყო ზემოაღნიშნულ ხაზის მედგარი დაცვა და გამაგრება. საქართველოს სახელოვანი სარდლები კარგად ჰგრძნობდნენ ამას, მათ ეს კარგად ჰქონდათ გათვალისწი-

ნებული. დიდის ნიჟით აღჭურვილი სარდლები თანდათანობით, მეთოდიურად მიისწრაფვიდნენ ამ მიზნის განხორციელებისაკენ. ამ ხაზის დაცვა უსათუოდ აქტიური უნდა ყოფილიყო, ე. ი. ქართველების ჯარს უფრო სამხრეთით უნდა გაელაშქრა, აქტიური მოგერიებითი ბრძოლა ეწარმოებინათ. რა წამს მათ საკმაო ძალა მოიკრიბეს, რა წამს მოღონიერდნენ, შეერთდნენ, მაშინადვე შეუდგნენ ამ აქტიურ მოგერიებითი ბრძოლას. გალაშქრება კარნუ კალაქისაკენ, ხოროსანსა, ნახჭავან-თავრიზისაკენ ეს აქტიური მოგერიებითი თავის დაცვა იყო. თამარის დროს, როდესაც საქართველოს ძლიერებამ უწვერვალესობამდე მიაღწია და მთელს მცირე აზიაში უძლიერეს სამეფოდ ითვლებოდა, ქართველების ჯარმა ტრაპეზუნთიც კი აიღო, მაგრამ თამარმა ეს სამფლობელო უწყალობა საბერძნეთის მეფეთა საგვარეულოს წევრს და ამით დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩანა. საქართველოსთან შემოერთება სახეირო არ იქნებოდა, რადგანც ამ სამთავროს დაცვა-შენარჩუნება დიდს ძალას და შრომას მოითხოვდა.

ცენტრალურ ასპარეზის მიმოხილვის დასრულებისთვის საჭიროა აღვნიშნოთ მისი შემადგენელი ნაწილები. ამ ასპარეზის უდიდეს ნაწილს ქართლი შეადგენდა. დასავლეთით მას საზღვრავდნენ ლიხის და სომხითის მთანი; სამხრეთით იგივე სომხითის მთანი; აღმოსავლეთით რანი და შემდეგ ჰერეთი და კახეთი. ჩრდილოეთით ოვ-

სეთი და ძურძუკეთი. ქართლის ნაწილები იყო ზემო და ქვემო ქართლი და გარდაბანი. ჩვენთვის საინტერესოა ეს უკანასკნელი ნაწილი. გარდაბანს, როგორც ირკვევა, შეადგენდნენ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრა, და ეხლანდელივე ტფილისის და გორის მაზრის ნაწილები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარენი. გარდაბანი მთელი ქართლის საფარი იყო დასავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით. გარდაბანს თითქოს განგებ ამენებული საზღვრები აქვს: სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მას ულიან და ჰფარავენ სომხითის მთები; ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მტკვარი და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ბერდუჯი. გარდა ამისა რენიდან ტფილისისაკენ მომავალი გზები გადაჭრილია მრავალი ხევებით და მტკვრის მარჯვენა შემდინარეებით. დასავლეთით ან სამხრეთით შემოსულ მტერს წინ გადაეღობებიან თრიალეთის ან და სომხითის მთანი. ამ მხრით გარდაბანი ბუნებრივი საფარია ქართლისა ტფილისითურთ. გარდა ბანშივე ტფილისის სამხრეთით განთქმული სამშვილდის პოზიცია, რომლის დაკარგვა ტფილის დაკარგვას მოასწავებდა ხოლმე. დანარჩენი ნაწილები ცენტრალურ ასპარეზისა იყვნენ: სამცხე (ქ. ახალციხით), ჯავახეთი (ქ. ახალქალაქით), არტაანი (ქ. არტაანით), კოლა და ტაო (ოლთისით). ამ კუთხეების მნიშვნელობა უკვე ვიცით. საკმარისია მოვიგონოთ სამკუთხედი არტაან-ახალ-

ციხე-ახალქალაქი. შემდეგ გვრჩება ცენტრალურ ასპარეზის ნაწილები ბოცი, ჯავახეთის სამხრეთით, უფრო სამხრეთით „ქვეყანა პალაკაციო“ და მერმე კარის და ანისის მიდამოები. ყველა ამათ მნიშვნელობა საოპერაციო მიმართულებათა განხილვით გასაგებია ჩვენთვის.

დაგვრჩა აღმოსავლეთის ასპარეზი— კახეთი და ჰერეთი. ამ ასპარეზს ის საერთო მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი ჰფარავდა ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთით მოდიოდნენ გზები მტკვრისა, ივრისა და ალაზნის ველებით. ამ მხრით მის მოსაზღვრეთ იყვნენ შირვენი, მოვაკანი და რანი. მართალია ეს მოსაზღვრე სამეფონი, ან საამირონი დიდს ძალას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ, როგორც მაჰმადიანებს, სამხრეთით მდებარე მაჰმადიანთა დიდი სახელმწიფონი ყოველთვის მხარს უჭერდნენ. ცალკე ამისა თვით შირვანისა და მეტადრე რანის მფლობელთ, საჭირო დროს, შეეძლოთ შემოსეოდნენ საქართველოს სწორედ იმ დრო, როდესაც მისი ჯარი სადმე სამხრეთის საზღვრებზე ბრძოლაში იქნებოდა გართული. ამიტომაც არის, რომ ქართველი სარდლები ყოველთვის დიდს ყურადღებას აკუთვნებდნენ შირვანს და რანს. ერთ დროს ეს სამთავრონი მოხარკედ იყვნენ საქართველოსი. როდესაც აფხაზთა მეფეებმა საქართველოს გაერთიანების საქმე იწყეს, მათ უპირველეს ყოვლისა შირვანის და რანის სამფლობელოებს მი-

აქციეს ყურადღება. შუაგულ საქართველოს განთავისუფლების და შემოერთების საქმის დაწყების მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც კახეთის, მაშასადამე შირვანის და რანის მხრით აფხაზთა მეფენი უზრუნველყოფილი იქნებოდნენ. გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს გაერთიანების წინაღმდეგ ყოველთვის დიდგვარიანი თავადობა იყო, მეტადრე ქართლის ერისთავები, განსაკუთრებით სამშვილდის, გარდაბანის მფლობელნი. იმდენად არ ეშაზნიკებოდათ მათ საქართველოს გაერთიანება, რომ ხშირად იარაღით ხელში წინაღმდეგობას უწევდნენ და არა ერთხელ ისეთს საზარელ საშუალებასაც კი მიმართავდნენ, რომ მაჰმადიანთა ჯარები მოჰყავდათ თავისივე საკუთარ სამშობლოს აწიოკებაოხრებისათვის. და აი სწორედ ამ შემთხვევაში შირვანს და რანს დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. იგინი ყოველთვის მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ ურჩ და თავგასულ ქართველ თავადებისათვის. საქართველოს შეერთების იდეით გატაცებულს ადამიანს ამ გარემოებისათვის უსათუოდ დიდი ანგარიში უნდა გაეწია და უწევდნენ კიდეც, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

ასეთი სახით გვეხატება მაშინდელი საქართველს ტერიტორიის საერთო მნიშვნელობა სტრატეგიის თვალსაზრისით.

ჩვენ ვეხებით საქართველოს ძლიერების და აყვავების ხანას, რომელიც იწყობა დავით ალმაშენებლის მეფობით.

მძიმე პირობებში მოუხდა დავით აღმაშენებელს ტახტზე ასვლა. „სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, ქვეყანა თურქების თარეშისაგან მოქანცული იყო, „გაოხრებული იყო ქართლი“ ისე, რომ მემატიანეს სიტყვით „თვინიერ ციხეთასა სადამე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა“. ამასთანავე „ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშვილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს. მხოლოდ „თრიალეთი და კლდე კარნი და მიმდგომი ქუეყანა მათი ლიპარიტს“, ეჭირა და საქართველოს „მეფეს დავითს წინაშე იყვეს რეცა ერთგულად... ამიტომ როდესაც დავით აღმაშენებელი გამეფდა, „მაშინ საზღაური სამეფოსა“ აღმოსავლეთით ნამდვილად თითქმის მარტო „მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულისთავი“ იყო... ამას გარდა ტფილისის საამიროს თრიალეთს გარდა მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართქველო ეპყრათ და თავისუფლად დანავარდობდნენ“. (საქართველოს ისტორია“, ი. ჯავახიშვილისა, გვ. 503—507).

მაშასადამე სწორედ ცენტრალურ ასპარეზის სტრატეგიის თვალსაზრისით უმთავრესი ნაწილი საქართველოს მეფის ხელთ არ იყო. ამასთანავე ქვეყანა აოხრებული და აწიოკებული იყო. გარდა ამისა კახეთიც სრულიად საქართველოს გარეშე იმყოფებოდა. და ამავე დროს არც ურჩი დიდგვარიანი თავადები იყვნენ დაშოშმინებულნი. მეტადრე თრიალეთის და კლდე-კარის

და მიმდგომ ქვეყანათა მფლობელი ლიპარიტი, ე. ი. გარდაბანის მეტი ნაწილის ერისთავი და იმ ნაწილისა, რომელსაც ტფილისის საამიროს დაპყრობაში დიდი როლი უნდა აესრულებინა. დავით აღმაშენებელს, როგორც სჩანს, ეს გარემოება კარგად ჰქონდა გათვალისწინებული. მის გამეფების შემდგომ არ გასულა ხუთი წელიწადი, რომ ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპულთა კალთა სლვა, რამეთუ ზაკვიდა წინაშე მისისა". მაგრამ დავით აღმაშენებელი სხვა ხასიათის კაცი იყო და სტაცა ხელი ლიპარიტს და დაატყვევა. ლიპარიტმა ქედი მოიხარა და შენდობა ითხოვა. დავითმა შეინდო და გაანთავისუფლა, მხოლოდ მრავალი ფიცი ერთგულებისა ჩამოართვა ლიპარიტს. დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა აქ დავითმა. მას შეეძლო რა თქმა უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინა თავიდან ლიპარიტი, მაგრამ იმ საქმისათვის, რომელიც უკვე განზრახული ჰქონდა, კახეთის შემოერთება, ლიპარიტისადმი მეტისმეტად მკაცრ მოპყრობას შეიძლება დიდგვარიან თავადებზე მძიმე შთაბეჭდილება მოეხდინა, რაც არა ხელსაყრელი იქნებოდა. უმჯობესი იყო ლიპარიტი გაეშვა დავითს, დარწმუნებულს, რომ იგი ფიცს უსათუოდ გასტეხდა, მაშინ კი მისი მკაცრად და აშკარად დასჯა ადვილი შესაძლებელი იქნებოდა და ვერც ვერვინ დაემდურებოდა მეფეს. სწორედ ასედაც მოხდა. ლიპარიტმა თავისი არ დაიშალა, ფიცი გასტეხა და კვლავ პყრობილ

იქმნა და ექსორიად ჰყვეს. ასე მოუ-
გრიხეს ურჩ თავგასულ-ს ერთისათვს ქე-
დი. იმ დროს სამღვდელოებასაც დი-
დი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა
და მისი დახმარება მეტად საჭირო
იყო საქართველოს გაერთიანების საქ-
მეში. სამღვდელოებაშიაც გვარიშვილო-
ბას დიდი ადგილი ჰქონდა და, რა თქმა
უნდა, იგი ყოველთვის დიდგვარიან ფე-
ოდალებთან ერთად იქნებოდა. საჭირო
იყო ამ ძალების განცალკევება. და-
ვითმა გასაოცარის ენერგიით და სი-
მტკიცით ესეც მოახერხა. რუის-ურ-
ბნისის საეკლესიო კრებამ ეკლესიის
მსახურთა შორის წოდებრივობა გან-
დევნა, ბევრნი უღირსნი მღვდელ-მთა-
ვარნი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი
გვარის შვილები იყვნენ, განდევნა და
მხოლოდ პირად ღირსებაზე დაამყარა
საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნა.
რა თქმა უნდა ახალი წესით დანიშ-
ნული საეკლესიო მსახურნი მეფის ერთ-
გულები და მისი პოლიტიკის მომხრე-
ნი იქნებოდნენ, ჩვენ განზრახ შევეხეთ
გაკვრით მაინც დავით აღმაშენებლის
მეფობის პირველ ხნის პოლიტიკურ
მოღვაწეობას, რადგანაც ამ მოღვა-
წეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
დავითის მომავალ სამხედრო მოქმედე-
ებ.ისათვის, დავითს კარგად ესმოდა,
რომ ვიდრე საქართველო ჯერ შიგნი-
დან არ გამაგრდება, შეუძლებელია
გარეშე მტრის განდევნა და მოგერიე-
ბა. ბრძნული, წინ-დახედული პო-
ლიტიკოსი იყო დავით აღმაშენე-
ბელი და ეს უეჭველად საჭიროა ჭეშ-
მარიტ სარდლისათვის. პოლიტიკა ყო-

ველთვის ნიადაგს უმზადებს სტრატეგიას და ბეერჯელ სამხედრო მოქმედების ღირსება-ნაკლულევანება და ომის შედეგი იმაზედაა დამოკიდებული, რამდენად გვარიანად მოუმზადებს პოლიტიკა ნიადაგს სტრატეგიას. შეიძლება გამოჩენილი პოლიტიკოსი როგორც სარდალი არაფრადა ღირდეს, მაგრამ დიდი გამოჩენილი სარდალი უსათუოდ ბრძნული წინდახედული პოლიტიკოსიც უნდა იყვეს.

დავით აღმაშენებელმა მტკიცედ მოუარა შინაურ საქმეებს. ლიპარიტის განდევნამ კარგად აგრძნობინა დიდ გვარიან თავადებს, თუ რა პიროვნებასთან აქეთ საქმე. სამღვდელოება რადიკალური ზომის წყალობით მიიმხრო და ახლა შეეძლო სამეფოს გაერთიანების საქმეს შესდგომოდა. რითი დაეწყო ეს საქმე? ტფილისის საამიროს და მის სანახეების დაპყორბით? ეს ხომ უახლოესი მიზანი და მასთან უსაჭიროესი იყო? მაჰმადიანები დაუძლურდნენ თანდათან. ევროპამ ჯვაროსნობის ომები იწყო. ამავე დროს სპარსეთის სელჯუკიანთა თურქებშიაც არეულობა დაიწყო. პირველ შეხედვით თითქოს ცხადია, რომ სწორედ ამით უნდა ესარგებლა და ტფილისის საამიროს დასცემოდა. მაგრამ სწორედ აქ გამოიჩინა დავითმა დიდი სტრატეგიის ნიჭი და შორს-მჭვრეტელობა. მას კარგად ესმოდა, რომ მისი წადილი საქართველოს გაერთიანებისა, კახეთის მეფისათვის და იქაურ მთავრობისაივის საამო და სასურველი არ იყო და კახეთი ყოველთვის ისარგებლებდა შემ-

თხვევით რათა ამ საქმისათვის ხელი შეეშალა და თუ კი დავითი დაეცემოდა ტფილისის საამიროს, მოსალოდნელი იყო, რომ კახეთის მეფე გულხელდაკრეფილი არ დაშთებოდა, ან პირდაპირ დაეხმარებოდა ამირას და დავითის ჯარს ზურგით დაეცემოდა, ან და გადალახავდა არაგვს და ქართლს შეესეოდა და ამით აგრედვე განსაცდელში ჩააგდებდა დავითის ჯარს. გარდა ამისა, ტფილისის ამირაზე დაცემა უსათუოდ რანის და შირვანის გამოლაშქრებას გამოიწვევდა. საჭირო იყო ყველა ამის თავიდან აცდენა, საჭირო იყო ტფილისის საამიროს წინააღმდეგი ოპერაციის მოწყობა და მომზადება, რომ მართლაც იგი სრულის და საბოლოო ჭამარჯვებით დაგვირგვინებულიყო. სწორედ ამიტომ დავითმა ნიშანში ჯერ კახეთი ამოიღო. მართალია, მან წინასწარ თანდათანობით ალაგმა და შეზღუდა თურქთა თარეში სომხითის მთიდან მტკვრის ნაპირებისაკენ. მაგრამ პირველი ნამდვილი ოპერაცია კახეთისაკენ იყო მიმართული. უკვე აქ უახლოეს მიზნის დასახვაში გამოსჭვივის ჭინდახედული სტრატეგი.

დავით აღმაშენებელმა შემოიერთა კახეთი და ჰერეთი და ამას მოჰყვა ახალა ბრძოლა რანის მპყრობელთან, როელიც, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგებოდა კახეთის დაპყრობას. მისთვის ეფრო სასურველი და ხელსაყრელი ეზობელი იყო სუსტი კახეთი „ცუნდუკ“ „და ყოვლად უმეცარ მეფე აღაოთანით, ვიდრე ძლიერი გაერთიანებული საქართველო და მერმე ისეთი

მეფის ხელში, როგორიც დავითა იყო. მიუხედავად იმისა, რომ „დავითის წინააღმდეგ ყოფილან „სულთანისა იგი სპანი ურიცხუნი, ათაბეგი განძისა და... კახთა ქვეყანისა ერთი მტერთავეთანა გარემოდგომილი“, მაგრამ... ოაეითი. მაინც ძლევა-მოსილი გამოვიდა („ქართ. ერის ისტორია“ ი. ჯავახიშვილი) როგორც მოსალოდნელი იყო განძის მფლობელი დაეხმარა კახეთს, მაგრამ ძლეულ იქმნა და დავითმა კახეთი და ჰერეთი საბოლოოდ შემოიერთა. ამ რიგად იგი სამი მხრით შემოერტყა ტფილისის საამიროს და სამი მხრით ხელს ვეღარავინ. შეუშლიდა: კახეთი დაპყრობილი იყო, განძის მფლობელი საგრძნობლად დამარცხებული და ლიპარიტი განდევნილი. დარჩა ღია მხოლოდ ტფილისის საამიროს სამხრეთი ნაწილი და ამის ჩაკეტისათვის და საამიროს ამ რიგად სრული გარემოკვისთვის საჭირო იყო სამშვილდს ხელში ჩაგდება. ეს უკანასკნელი საქმე ფარულად და სწრაფად უნდა მომხდარიყო, რათა ამირას ვერ მოესწრო ზომების მიღება და სამხრეთიდან მაშველი ჯარის გამოძახება. აქ დავით აღმაშენებელმა ხერხს მიმართა, რომელსაც შემდეგში არა ერთხელ მიმართამდა ხოლმე. თვითონ აფხაზეთს წავიდა და თურქები დარწმუნებული, რომ მეფე შორს არის, არხეინად იყვნენ და არას მოელოდნენ. და სწორედ ამ დროს თრიალეუის და კლდეკარის ერისთავი, რა თქმა უნდა, მეფე დავითის დარიგებით, მოულოდნელად და სამშვილდეს და დაიპყრა იგი. ამას მოჰყვა სომხითის

ციხეების დაპყრობც, მაშასადამე მთელი გარდაბანი, ქართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი დაპყრობილ იქმნა დავითის მიერ და თვით ტფილისი ყოველ მხრივ გარშემორტყმული. აღნიშნული ხერხი, რომელსაც მიმართა დავითმა და რომლისათვისაც შემდეგში არა ერთხელ მიუმართავს, მარტო უბრალო ხრიკი არ იყო, მტრის მარტო უბრალო მოტყუებათ არ ჩაითვლება. მას საფუძვლად უფრო ღრმა სტრატეგიული მოსაზრება ედვა: მეფე თვითონ აფხაზეთს გადავიდოდა და ქართლში კი ჯარის შეგროვებას უბრძანებდა. რა თქმა უნდა, აფხაზეთშიაც იმავე დროს გროვდებოდა ჯარი. დავითი იცდიდა, როდესაც გამოირკვეოდა თუ საითკენ მოდის მტერი, რაგზით და მიმართულებით და რა მხრითაც უფრო ხელსაყრელი იქნება მტერზედ თავდასხმა, სწრაფად გაეშურებოდა აფხაზეთში მოგროვილ ჯარითურთ და სწორედ მტერს სუსტი მხრით დაეცემოდა სრულიად მოულოდნელად. და ასეთი მოულოდნელი თავდასხმა, მერე სწორედ იმ მხრით, საიდანაც უფრო საშიში იყო რა თქმა უნდა, მტერს თავზარს სცემდა და დიდს ეფექტს ახდენდა.

უკვე დავითის პირველ ოპერაციებში ცხადად ვამჩნევთ თანდათანობას, ერთგვარ მეთოდს, ღრმა მოფიქრებას. მოქმედება შეესაბამება გარემოებას. გათვალისწინებული აქვს სახელოვან სარდალს მოპირდაპირის ფსიხიკა. მიზნად ყოველთვის დავითს დასახული აქვს უახლოესი საგანი. ერთსა და იმავე

დროს რამდენიმე საგანს არ ებღაუქე-
ბა. გეგმა მარტივია, მაგრამ რაკი აღ-
სრულებას შეუდგება, იგი არ აყოვ-
ნებს, სწრაფად და დიდის ენერგიით
ყოველთვის მოქმედობს. ყოველთვის
ცდილობს დაასწროს მტერს და სრუ-
ლიად მოულოდნელად დაეცეს. ეს ჭეშ-
მარიტი და მაღალი ხარისხის სტრა-
ტეგია არის. მართალია, ეს ოპერაციე-
ბი მხოლოდ მოსამზადებელი ოპერა-
ციები იყო მომავალ ფართე სამხედრო
მოქმედებისათვის, მაგრამ უკვე ამ მო-
მზადებაში სჩანს სისტემა და ცხადად
გამოსჭვივის დიდი სტრატეგიული ნი-
ჭი.

დავითის შემდეგ მოქმედებაში ეს
უფრო ნათლად გამოჩნდება.

ჩვენ დავით აღმაშენებლის ყოველი
ლაშქრობის დაწვრილებითი განხილ-
ვას ვერ შევუდგებით, მხოლოდ ჩამოვ-
თვლით გაკვრით იმ ოპერაციებს, რო-
მელნიც მოსამზადებელ ოპერაციებად
უნდა ჩაითვალნენ.

თურქები ვერ შეურიგდებოდნენ სამ-
შვილდის დაკარგვას, ვერ შეურიგდე-
ბოდნენ აგრედვე იმას, რომ დავითმა
საშუალება მოუსპო ზამთრობით
მტკვრისა და ივრის ველებში დაშვე-
ბულიყვნენ და აქ დაეზამთრად. დი-
დის ძალებით წამოვიდნენ თურქები
გარდაბანში. მემატიანეს სიტყვით მათი
ჯარის რიცხვი უდრიდა 100,000. სა-
ზოგადოდ ამ ციფრებს ფრთხილად
უნდა მოვეპყრათ. ძნელი წარმოსადგე-
ნია იმ დროინდელ პირობებში ასეთი
დიდი ძალების მოძრაობა და ბრძო-
ლა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საკ-

მაოდ დიდი ძალებით უნდა წამოსუ-
ლიყვნენ. უკვე ჩვეულნი თურქნი ფროხი-
ლად და უჩუმრად მოდიოდნენ და
თრიალეთს მიადგნენ. მეფე დავითი ამ
დროს ნაპარმაგევში იყო (გორის მახ-
ლობლად). რა წამს თურქების შემო-
სევა გაიგო, სწრაფად დაიძრა იმ ჯა-
რით, რაც იმ დროს ხელთ ჰყავდა და
გასაოცარის სისწრაფით გადმოლახა
მტკვარი და თრიალეთის მთები და
სრულიად მოულოდნელად დაეცა თუ-
რქების მარცხენა წვერს და საშინლად
დაამარცხა. ამის შემდგომ ეყონდი-
დელმა დაიპყრო ციხე რუსთავი, მა-
შასადამე ტფილისის საამიროს სამხ-
რეთ-აღმოსავლეთისაკენაც გზა შეუკ-
რა.

ამ რიგად ტფილისის საამიროს თან
და თან სამხრეთით და სამხრეთ-აღმო-
სავლეთითაც გზები არამც თუ ეკარგე-
ბოდა, არამედ თვით თურქებსაც სა-
შუალება აღარა ჰქონდათ საამიროს
სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით მიშვე-
ლებოდნენ. მაგრამ დავითი თითქოს
კიდევ რაღაცას უცდის, საამიროს წი-
�
ნააღმდეგ ოპერაციას აყოვნებს. და-
ვითს კარგად ესმოდა, რომ საამირო
ხელიდან ვერ წაუვიდოდა, მაგრამ
გამაგრებულ ტფილისის აღებას მაინც
კარგა ხანი დასჭირდებოდა და ამ ხნის
განმავლობაში ან შირვანის ხანი მოე-
შველებოდა ან და თურქები საქართ-
ველოს სხვა მხრით, მაგალითად სამ-
ხრეთ-დასავლეთის მიმართულებით შე-
მოესეოდნენ. საჭირო იყო ჯერ ამ
ორივე მხრით უზრუნველყოფა და მე-
რმე ტფილისის ამირას ადვილად გა-

უსწორდებოდა. თავის-თავად ცხადია რაოდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დედა ქალაქის, ტფილისის, განთავისუფლებას, შემოერთებას და გარემოებაც პირველ შეხედვით ისეთი იყო, რომ თითქმის მეტად ადვილად მოხერხდებოდა ეს საქმე. სხვა, დავითზე ნაკლებ შორს მჭვრეტი, სარდალი რომ ყოფილიყო, შესაძლებელია ტფილისის ხელში ჩაგდების სურვილს ისე გაეტაცნა, რომ მთელის თავის ძალით დასცემოდა დედა ქალაქს და ვინ იცის მთელი აქნობამდისინ გაკეთებული საქმე ჩაფუშულიყო და კვლავ სამშვილდე და მთელი გარდაბანი ისევ მტრის ხელში ჩავარდნილიყო. ფრთხილად და დინჯად იქცეოდა დავითი და ყოველ მხრით ამზადებდა იმ ოპერაციას, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა ესოდენი მისი შრომა და ღვაწლი.

საჭირო იყო დავითისათვის თურქების ზრახვის გამოაშკარავება და მან კვლავ ნაცად ხერხს მიმართა, გადვიდა ზამთრობით აფხაზეთს. ეტყობა, იგი თურქთა ლაშქარს მოელოდა და ამიტომ უბრძანა ქართლელთა და მესხთ ჯარი მზად ჰყოლოდათ. დავითის ეჭვი გამართლდა და თურქები ბასიანით და ტაოთი შემოესივნენ საქართველოს. დავითისათვის უკვე ცხადი იყო როგორ უნდა მოქცეულიყო. როგორცა სჩანს, თურქები ჭოროხის ველით უნდა წამოსულიყვნენ. დავითი უბრძანებს ქართლელების და მესხეთის ჯარს, დაუხვდნენ თურქებს კლარჯეთში, ე. ი. პირის-პირ შეებნენ. ჩვენ თუ მოვიგო-

ნებთ ამ ასპარეზის თვისებებს, სადაც მტერს წინ დაუხვდებოდნენ კლარჯეთის მთები, შემდეგ იმერხევი და მერმე შავშეთის მთები, მივხვდებით, რომ ამ ბუნებრივ სიმაგრეთა წყალობით ქართლელებს და მესხებს შეეძლოთ ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაეწიათ. მტერი დასავლეთისაკენ ვერ მიტრიალდებოდა და ცენტრალურ ასპარეზს ვერ შეესეოდა, რადგანაც ქართველები მას ზურგით დაეცემოდნენ, მაშასადამე ქართლისაკენ მიმავალი გზები უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ. მაგრამ მარტო მტრის შეჩერება დავითისათვის ცოტა იყო, საჭირო იყო მისი დამარცხება და განდევნა. დავითმა გაბედულ და იმ დროისთვის თითქმის უცნობ მანევრს მიჰმართა. ეს იყო შორით მტრის შემოვლა, სტრატეგიული შემოვლა და საკვები გზის გადაჭრა. ასეთს საშუალებას ჩვეულებრივ მიმართავს ხოლმე ის, ვისაც მტერზედ ბევრით მეტი ჯარი ჰყავს. დავითს კი პირიქიდ თურქებთან შედარებით ბევრად ნაკლები ჯარი ჰყავდა. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ დავითს გარემოება კარგად გამოცნობილი და აწონილ-დაწონილი ჰქონდა. იგი კარგად იცნობდა ბრძოლის ველის ბუნებრივ თვისებებს. მან იცოდა რომ კლარჯეთ-შავშეთის მთაგორიან და ხევიან ადგილებში თურქები საბრძოლველად დიდს ძალებს ვერ გაშლიდნენ და ქართლელების და მესხების ჯარი მიუხედავად თავისი მცირე რიცხოვნებისა მათ გაუმკლავდებოდა. მან კარგად იცოდა ფსიხიკა

მტრისა, რომელსაც მოულოდნელი შემოვლა უსათუოდ თავზარს დასცემდა, მით უმეტეს როდესაც ეს შემოვლა საკვები გზის გადაკრას უქადიდა. საჭირო იყო მხოლოდ სწრაფი მოქმედება და დავითი სწორედ ასე მოიქცა. მან თავისი დანარჩენი ჯარით სწრაფად გადალახა ჭოროხის პირი და ხუფათით წამოვიდა ჭოროხის მარცხენა ნაპირით. ჯარის მარცხენა წვერს ჭოროხი ჰფარავდა, მარჯვენას კი მაღალი მთების ქედი. შეუმჩნეველად და თურქებისათვის უცნობლად შემოუარა დავითის ჯარმა მათ მარცხენა წვერს და ქართლელების და მესხების ჯართან ერთად ორის მხრით დაეცა და გაანადგურა მტერი. რადგანაც მემატიანეს სიტყვით ქართველებს აუარებელი ტყვე და ნადავლი ჩაუვარდათ ხელთ, უნდა ვიფიქროთ, რომ დავითმა მოასწრო მტრის საკვები გზის გადაკრა. აღსანიშნავია, რომ დავითმა არამ თუ შეასრულა ასეთი გაბედული მანევრი, არამედ ისეთის ზედმიწევნით გამოიანგარიშა და მოაწყო ჯარების მოძრაობა, რომ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე ჯარის ორი ნაწილი ერთი მეორეს შორი მანძილით დაშორებული შეაერთა და მტერს საერთო ძალით ეკვეთა. ნუ დაგვავიწყდება, რომ დღესაც კი, როდესაც სარდლებისათვის მზადაა ტელეგრაფი, ტელეფონი და ჰაეროპლანები, „შეიათად თუ ხერხდება ჯარის ნაწილების ასეთი შეთანხმებული მოქმედება. ნუ დაგვავიწყდება, რომ თანამედროვე სტრატეგიის დებულება: „ცალცალკე სვლა

და ერთად დაკვრა", მხოდოდ მეცხრა-
მეტე საუკუნის დამლევს პირველად
გამოსთქვა დიდმა მოლტკემ. მართა-
ლია მტრის წვერის ბრძოლის ველზე
შემოვლა უძველეს დროშიაც იყო მი-
ღებული, მაგრამ მხოლოდ ბრძოლის
ველზე, ე. ი. ტაქტიური შემოვლა. მა-
გრამ შორით შემოვლა, მთელის ასპა-
რეზით, ე. ი. სტრატეგიული შემოვლა,
ახალი სტრატეგიის ხილია.

რა გასაკვირველია რომ ბრწყინვალე
ოპერაცია ბრწყინვალე გამარჯვებით
დაგვირგვინდა, ე. ი. მტრის განადგუ-
რებით. თუ სტრატეგიის მთავარი დე-
ბულებაა მოქმედება გარემოების მიხე-
დვით და თუ სწორეთ გარემოების
ჯამოცნობაში და მის დაფასებაში
ეჩენს თავს სარდლის ნიჭი, უნდა
ალიაროთ, დავითმა ბრწყინვალედ,
ავსებით დაიცვა ეს დებულება და
ის მოქმედებაში ცხადად გამოსჭვივის
ენიოსი სარდლის ნიჭი.

მართალია ტაო-ბასიანიდან თურქები
ანდევნილ იქმნენ, მაგრამ მაინც ეს
აზღვარი საკმაოდ უზრუნველყოფილი
რ იყო და ყოველთვის შემოსევა მო-
ალოდნელი იქნებოდა. მით უმე-
ტეს, რომ ბიზანტიაც მახლობლად
ყო და იმისაც შეეძლო საქარ-
ველოსაკენ გამოლაშქრება. ბიზანტია
და თურქები ერთმანეთს მტრობდნენ
და დავითვისთვის ხელსაყრელი იქნე-
ოდა ან ერთთან ან მეორესთან და-
ხლოვება. თურქებთან ახლო მომა-
ალში ბრძოლა მოელოდა, ამიტომ
ავითმა ბიზანტია არჩია და პოლი-
ეკას მიმართა. თავისი ერთი ასული

საბერძნეთის მეფის რძლად „გაგზავნა.“ (ი. ჯავახიშვილი. „ქართ. ერის ისტორია“ გვ. 513) არც შორეული აღმოსავლეთით მოსაზღვრე შირვანი ავიწყდებოდა დავითს. მეორე თავისი ასული შირვანშაჰს მიათხოვა (იქვე). ალბად ამ უკანასკნელმა დამოყვრებამ დავითს გააბედვინა და საშუალება მისცა აღმოსავლეთის ასპარეზი უფრო გაეფართოვებინა და გაემაგრებინა, დავითმა აიღო ციხე გიში (ეხლანდელ ნუხთან) და თვით შირვანში ციხე ქალაძორი. აღმოსავლეთით ზურგ გამაგრებული დავითი უბრუნდება უმთავრეს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარს. მას გარდაბანის საბოლოო გამაგრება სწადია. იგი შორს რახსის პირამდე ილაშქრებს, დაამარცხებს თურქებს, იმავე დროს აღიღო მან ციხე ლორი და ამრიგად ზემოდ აღნიშნულ სამკუთხედის, კარი-ანისი-ლორი, ნაწილი უკვე მის ხელში გადვიდა.

ალბად ამ სიშორეზე გალაშქრებამ მეფე დაარწმუნა, რომ იმ გრანდიოზული გეგმის აღსრულებისათვრის, რომელიც მას დასახული ჰქონდა, ე. ი. საქართველოს საბოლოო გაერთიანებისათვის, მისი სავსებით განწმენდისათვის და საზღვრების აქტიური დაცვისათვის უფრო მეტი ძალა და საშუალებანი არის საჭირო, ვიდრე იმ დროს დავითს ხელთ მოეპოვებოდა. დავითი შეუდგება თავის სამხედრო ძალების ძირითად რეფორმის განხორციელებას. დივითის ეს რეფომა მეტად მნიშვნელოვანია და საჭიროა უფრო ვრცლად შეეხოთ მას.

მემატიანე გვიამბობს: „ჰხედვიდა მეფე დავით ესე-ოდენთა ზეგარდმოთა ღვთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯვებათა თვისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ქვეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, **რამეთუ არა იყო ესე-ოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამპირველად, და კვალად თვის-თანა მყოფელად, და ზოლაშქრედმცა კმა იყვნეს დაუცხრომელად, და სამარადისოსა მისსა მიმოსვლასა ზამთარ და ზაფხულ განაღა სადამე ლაშქრობასა.**“ დავითმა განიზრახა მუდმივი ჯარის დაარსება. მაგრამ სწორედ ზემოდ მოყვანილ მოსაზრების მიზეზით ამ მუდმივ ჯარს მარტო ქართველებით ვერ შეავსებდა. Kიმ დროინდელი ჯარი შესდგებოდა დიდგვარიან თავადიშვილების ყმებისაგან და მართალია დავითმა ცოტა არ იყოს დააწყნარა და დააშინა თავგასული თავადები, მაგრამ ყოველთვის მოსალოდნელი იყო, რომ მათში კვლავ ორგულობა და ურჩობა იჩენდა თავს და საჭირო დროს მეფეს საჭირო დახმარებას ჯარის მოკრებაში არ აღმოუჩენდნენ. გარდა ამისა, მართალია გაოხრებული ქვეყანა თანდათან მოშენდა და გამოკეთდა, მაგრამ ამ მხრივ კიდევ ბევრი გასაკეთებელი იყო. დავითის საქმე კი მუდმივ ლაშქრობას და ციხე-საზღვრების დარაჯობას მოითხოვდა. გარდა ამისა დავითი გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ სამხედრო საქმეში ჯარის რიცხვს იმდე-

ნი მნიშვნელობა არა აქვს, მეტადრე თურქებთან ბრძოლაში, რამდენიც სწრაფ მოქმედებას, ჯარის გაწვრთნას და გამოცდილებას. მაშასადამე ჯარის მოგზაურებისათვის დიდი სისწრაფე იყო საჭირო, ჯარის ჩქარი მოქმედება და ჯარის მუდამ მზად ყოლა. ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ქვეყნის მოშენება-გამოკეთების ზრუნვაში ყოფილიყვნენ და მასთანვე ერთად მუდამ იარაღში ჩასხმულნი მტრის დახვედრის მზადებაში, რა თქმა უნდა ვერც ერთს და ვერც მეორე საქმეს კარგად და წესიერად ვერ შეასრულებდნენ.

უბრალო დაქირავება ჯამაგირით ჯარის-კაცებისა არ იყო სასურველი. განათლებულს და მწიგნობარს მეფე დავითს კარგად ეცოდინებოდა რას წარმოადგენს და რა საშიშია სახელმწიფოსათვის ასეთი დაქირავებული მეომარნი. მას ეცოდინებოდა რას წარმოადგენდნენ რომის და ბიზანტიის დაქირავებული პრეტორიანელნი. დავითმა გასაოცარის დაკვირვებით და ღრმა მოსაზრებით მოუარა საკითხს და აქაც დიდი სარდლის და დიდი პოლიტიკოსის ნიჭი გამოიჩინა.

საშუალო საუკუნეებში დასავლეთ ევროპაშიაც შემოიღეს მუდმივი ჯარი,მაგრამ ჯერ ერთი ეს ბევრით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე საქართველოში და მეორეც—ეს პირდაპირ დაქირავებული ჯარის კაცები იყვნენ, ვიგინდარა მაწანწალები, ყოველგვარ ზნეობრივ ღირსებას მოკლებულნი. ასეთი ჯარი პირდაპირ ღვთის რისხვა იყო საზოგადოებისა-

თვის. მაშინდელი ჯარის კაცები ოქ-
როზე ჰყიდნენ თავის სისხლს და სი-
ცოცხლეს და როგორც პროფესიონა-
ლები, თავის ხელობით ვაჭრობდნენ.
სადაც მეტს მისცემდნენ,იქ მიდიოდნენ.
მთავრები და მეფეები ხშირად ჰქირა-
ობდნენ ამგვარ ჯარს მხოლოდ თავი-
სი პირადი, კერძო ინტერესების
დაცვისათვის.

სულ სხვა მოსაზრებას და სულ სხვა
იდეას ვხედავთ დავით აღმაშენებელის
რეფორმაში.—იგი მიდის ყივჩაღთა
სამეფოში და იქიდან, გადმოასახლებს
ოჯახობრივ, რამდენიმე ათასს მეომრებს
საქართველოში. აქ მათ დაასახლებს,
მიუჩენს მიწა-წყალს და სამეფოს
მკვიდრთ შეუერთებს, თავისიანე ერს
შეადუღებს. აღსანიშნავია ზოგიერთი
წვრილმანი ამ საქმეში. დავითი მარტო
არ მიდის ყივჩაღთა სამეფოში, მას
თან მისდევენ სამხედრო საქმის სპე-
ციალისტები, მწიგნობართ უხუცესი და
ამირსპასალარი და მათთან ერთად
ყივჩაღთა შორის არჩევს გამოსადეგ
და შესაფერ მეომრებს. დაწვრილებითი
მოთხრობას აქ ვერ შეუდგებით, ვისაც
ეს აინტერესებს, მიუთითებთ „ქართ-
ლის ცხოვრებაზე“ და ი. ჯავახიშვი-
ლის „ქართველ ერის ისტორიაზე“.
ჩვენთვის მხოლოდ თვით რეფორმის
დაფასება და მისი მნიშვნელობა მომა-
ვალ სამხედრო მოქმედებისათვისაა ამ
ჟამად საინტერესო.

მართალია დავითმა ცოტა არ იყოს
დიდგვარიანი თავადები დააწყნარა და
დააშინა, მაგრამ მას კარგად ესმოდა,
რომ სამუდამოდ ამ საშინელი სენის

აღმოფხვრა მოკლე დროში შეუძლებელი იყო. მას კარგად ესმოდა, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, კვლავ იჩენდა თავს ურჩობა, შური და მოსალოდნელი იქნებოდა ღალატიც კი. მეფე შორს გალაშქრებას და ფართო ოპერაციებს აპირებდა და ამისათვის კი ჯარის ერთსულოვნობა, ჯარის სწრაფი მოკრება, შორს წასვლის დროს, როგორც შინ აგრედვე მეტადრე საზღვრის ციხეებში საჭირო იყო უაღრესად ერთგულ ჯარის და სანდო უფროსების დატოვება. საქართველო დიდი ხნის შეერთებული არ იყო, ზოგიერთ ერისთავებს ჯერ კიდევ ახსოვდათ მათი მამაპაპების თავისუფალი თარეში და დამოუკიდებლობა. ყოველივე ამის მიზეზით დავითი თავს უზრუნველად ვერ სცნობდა. ერისთავები ჰკრებდნენ და აგროვებდნენ თავის საერისთავოში ჯარს და ხშირად ომის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ამ ჯარის მოგროვება დროზე და წესიერად ხდებოდა. ამ შემთხვევაში კი დავითს საკმაო გარანტია არა ჰქონდა, გარდა ამისა დავითი ისეთს ფართო სამხედრო მოქმედებას აწარმოებდა, რომ ჯარი თითქმის მუდამ იარაღის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ეს კი მცხოვრებთ მძიმე ტვირთად ედებოდა. ყველა ამან აიძულა დავითი ისეთი -რადიკალური ზომისათვის მიემართა, როგორც ყივჩაღთა გადმოსახლება და მუდმივი ჯარის შექმნა. ცხადია ეს გადმოსახლებული ყივჩაღნი მეფის ერთგულნი და მისი ყოველი განკარგულების აღმსრულებელნი იქნებოდნენ. მათ არავითარი ინტერესი

არა ჰქონდათ ამათუ იმ ერისთავის მხარი დაეპირათ, და მეფისადმი ურჩობა გაეწიათ. ვერც ბრძოლის პირზე უღალატებდნენ მეფეს გადმოსახლებული ყიზილბაშნი: მათი ოჯახობა და მახლობელნი შინ, საქართველოში, მეფეს მძევლად ჰყავდნენ. იგივე ყიზილბაშნი მთელი ოჯახობით გადმოსახლებულნი შეეგუენ და შეურთდნენ ახალს სამშობლოს, მისი ინტერესებით განიმსჭვალენ და მისადმი მამულიშვილური გრძნობაც უსათუოდ დაიბადებოდა მათში. თუ ეს ყიზილბაშნი აგრედ წოდებულ „ჰეჩ,ნეგთა“ შთამომავლნი არიან, უნდა ვსთქვათ, რომ იგინი ბუნებრივი მეომარნი იყვნენ. გულადი, კარგი ცხენოსანი, სწრაფი და მარდი მოქმედებაში, იარაღის ხმარებას ჩვეული. ასე რომ ამ გვარი ხალხის გადმოსახლებით დავითმა მზამზარეული გაწრთვნილი მუდმივი ჯარიც გაიჩინა და თავის პოლიტიკასაც კარგი იარაღი შესძინა.

„ამოდენა უცხო ტომის ხალხის ჩათესლება საქართველოში დიაღაც რომ გაბედული საშუალება იყო, მაგრამ ამასთანავე „სამეფოთა გონებითა“ ნააზრევი, „სივრცითა გონებისათა“ განჭრახული, მეტად ბრძნული და გმირული საშუალება გაბლდათ! ქართველობისათვის 225000 სულის შეძენა იმ დროს, როდესაც იგი დიდ ბუნებოვან სარდლისა და მეფის წინამძღოლობით შეუჩერებლივ წინ მიისწრაფოდა და იზდებოდა, დიაღაც რომ დიდ შემატებად ჩაითვლებოდა. ქართველთ კულტურა მაშინ იმდენად ძლიერი იყო, რომ ამოდენა უცხო თესლის

ერთბაშად ჩასახლებაც ეროვნულს საფრთხეს არ წარმოადგენდა“... (ი. ჯავახიშვილი „ქარ. ერ. ის. გვ 535) ნუ დაგვავიწყდება, რომ მტრის მრავალმა შემოსევამ ბევრი მცხოვრები გაწყვიტა და მოსახლეობა ბევრგან მოსპო. მემატიანეს სიტყვით დავითის გამეფების დროს გორსა და ტფილისს შუა მთელი მხარე გაოხრებულ იქმნა იმდენად, რომ მხოლოდ მხეცთა და ნადირთა სანავარდო ასპარეზს წარმოადგენდა. ამ გვარ პირობებში ახალი თესლის ჩამოსახლება რა თქმა უნდა სამეფოსათვის ნამდვილი შემატება და სახეირო საქმე იქნებოდა.

უნებლიედ მსოფლიოს გენიოსი სტრატეგის ჰანიბალის ასეთივე ზომა გვაგონდება. ჰანიბალი ძველი კართაგენის გამოჩენილი მხედართ მთავარი იყო. კართაგენს რომთან მეორედ ომი ჰქონდა. იგინი ერთი მეორეს მსოფლიო ბატონობაში ეცილებოდნენ. ჰანიბალმა განიზრახა კართაგენიდან, ე. ი. ჩრდილოეთ აფრიკიდან რომში გალაშქრება. იგი უნდა გადასულიყო იბერიაში (ეხლანდელი ესპანია) და აქედან ხმელეთით აღმოსავლეთისაკენ წასულიყო, გადაელახა ალპის მთები და შესეოდა რომის ტერიტორიას. შორი და მძიმე გზა მოელოდა ჰანიბალს და ამასთანავე შიშობდა, რომ როდესაც იგი შორს გასცილდებოდა სამშობლოს, აქ მისი მოქიშპე დიდგვარიანი მოხელენი ხალხს ააჯანყებდნენ და მას საშინელ მდგომარეობაში ჩაგდებდნენ. არც ახლად დაპყრობილ ესპანელების იმედი ჰქონდა. ამიტომ

ჰანიბალმა ასეთ ზომას მიმართა. ესპანიაში ჯარი მოკრიბა და ოჯახებითურთ კართაგენში გადაასახლა და კართაგენში მოგროვილი ჯარი აგრეედვე ოჯახებითურთ ესპანიაში გადაასახლა. ამის შემდეგ უზრუნველად დაადგა შორს გზას, დარწმუნებული, რომ როგორც მის სამშობლო კართაგენში, აგრეედვე ახლად დაპყროპილ ესპანიაში მისი ინტერესები მედგრად იქნება დაცული. რომაელი ისტორიკოსები აღტაცებულნი იყვნენ ჰანიბალის ასეთი ჰენიოსური საქციელით და ნუ თუ ნაკლები გენიოსობა სჩანს დავით ალმაშენებელის რეფორმაში, რომელსაც ბევრით მეტი სახელმწიფოებრივი სარგებლობა და ქვეყნის ინტერესი უდეეს სარჩულად?

მუდმივ ჯარით უზრუნველყოფილს დავითს თამამად შეეძლო ფართო სამხედრო მოქმედებას შესდგომოდა და შეუდგა კიდეც.

საჭიროა წინასწარ მაშინდელი ჯარის საომარ წყობილების და ბრძოლის წესის გახსენება. ზოგიერთ ცნობებს ამის შესახებ მკითხველი ჰპოვებს ვახუშტის გეოგრაფიაში (მოსე ჯანაშვილის რედაქცია 1904 წ.), „ქართლის ცხოვრებაში“ და ი. ჯავახიშვილის „ქართ. ერის ისტორიაში“. გარდა ამისა „ევერიაში“ დასტამბული იყო და მეორედ „სახალხო ფურცელში“ დაისტამბა თათარხან დადეშქელიანის წერილი „მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა“.

ვახუშტი სწერს: „ხოლო ლაშქართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა

(ჯამაგირით), რაოდენი ძალედვა, სპანი მცველად თვისად, ვითარცა იტყვის მირიანნისასა და აღმაშენებლისასა ჲ ათასსა მარადის მცველად მისად. და დავითთასა არღარა განიყოფოდა საპურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხვა. ხოლო სხვანი სპანი იყუნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად.“

მაშასადამე დავითს 60 ათასი მუდმივი ჯარი ჰყავდა და გარდა ამისა საერისთავოების ჯარები, რომელთაც ჰკრებდნენ საჭიროებისამებრ. იგივე ვახუშტი გვამცნობს: „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია, ოთხ სადროშოთ განყოფილი. რამეთუ **წინა-მბრძოლნი** იყუნენ თორელნი, ციხის ჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო **მემჯრჯვნე მიმღსჯელ-მცემელნი** სრულიად ლიხთ იქითი აფხაზ-ჯიქეთურთ; მემარცხნეთ **მიმსვლელ-მცემელნი** სულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა აღმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა-რიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი“.

ამ აღწერილობიდან ჩვენთვის ნათელი და ცხადია იმ დროინდელ ქართველ ჯარის საომარი წესი და წყობილება. თათარყან დადეშქელიანს ჰგონია, რომ ეს წესი ბიზანტიელებისაგან არის გადმოღებული, მაგრამ ეს შემც-

დარი აზრია. აქ უფრო არაბთა გავლენა სჩანს, მაგრამ არაბული წყობილება იმდენად არის შეცვლილი, შესწორებული და გაუმჯობესებული, რომ თამამად შეგვიძლიან ეს გასაოცარი იმ დროისთვის ჯარის დალაგების წესი ქართულ სამხედრო ხელოვნებას მივაწეროთ. იმ დროინდელ ბიზანტიის და აგრეედვე დასავლეთ ევროპის რაინდების ტაქტიკა დაფუძნებული იყო მასიურ შეხლა-შეტაკებაზე. მართალია ჯარის წყება რამდენიმე ნაწილად, რამდენიმე მწკრივებად იყო დაყოფილი, მაგრამ ერთი ნაწილი ბრძოლის დროს მოსდევდა მეორის, ერთი მეორეს „დაკვრას“ აძლიერებდა და შველოდა იქ, სადაც საჭირო იყო. ნამდვილად აქ მარქაფი ჯარი (ეხლანდელი რეზერვი) არა სჩანს. ამიტომ ამ წყებით დალაგებული ჯარი მოულოდნელ შემთხვევას, რომელიმე ადგილას მოულოდნელად მტრის ჯარის ნაწილის დაცემას ადვილად ვერ მოიგერიებდა. არაბებმა ის ცვლილება შეიტანეს, რომ იგინი ბრძოლას ერთგვარი თანდათანობით აწარმოებდნენ. პირველი წყება ბრძოლას იწყებდა და მეორე მზად იყო მის მისაშველებლად. მესამე წყება ბრძოლის კრიზისს უცდიდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრძოლის სვლა საკვებით გამოირკვევოდა, იგი სადაც საჭირო იყო, დაეცემოდა მტერს. იგივე წყება ყოველთვის მზად იყო მოულოდნელი შემთხვევა თავიდან აეცილებინა, ან თვითონვე, თუ კი საჭირო იქნებოდა, მტრის რომელიმე წვერს დასცემოდა.

აქ უკვე რეზერვის ნასახი ცხადადა სჩანს. არაბთა პოეტურმა ფანტაზიამ ჯარის წყებებს- პოეტური სახელებიც კი უწოდა. პირველი წყება, რომელიც ბრძოლას იწყებდა იყო: „დილა ძალლის ყეფისა“ და მესამე წყებას, რომელიც ბრძოლას ამთავრებდა და მტერზე უკანასკნელ საშინელი იერიშით მიდიოდა უწოდებდნენ: „საღამო თავზარდაცემისა“. მეორე წყებას, რომელსაც ბრძოლის კრიზისი უნდა შეექმნა უწოდებდნენ: „შუადღე რყევისა“.

ქართველებს ჯარი ყოველთვის მტერთან შიდარებით ნაკლები ჰყავდათ, ამიტომ იგინი თავის ტაქტიკას მასიურ შეხლაზე ვერ დაამყარებდნენ, მათ მჭიდროდ შეჯგუფებულ ჯარს მრავალრიცხოვანი ჯარი ადვილად გარშემოერტყმებოდა და გაანადგურებდა. გარდა ამისა ქართველ ჯარს ბრძოლა ყოველთვის მთა-გორიან და უსწორ-მასწორ ადგილებში უხდებოდა, სადაც ფართო მასის მოძრაობა და მწყობრი მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ბიზანტიელთა წყობილებას ქართველები ვერ გამოიყენებდნენ. ვერც არაბების წესს მიიღებდნენ უცვლელად. ამიტომ შეიმუშავეს ზემოდმოყვანილი წყობილება, რომლის მზგავს ძველ ისტორიაში ჩვენ ვერსად ვნახავთ. აღწერილობის ტერმინებიდან ცხადად სჩანს როგორი იყო ეს წყობილება. **წინა-მბრძოლნი** ე. ი. რომელნიც წინ იბრძოდნენ, პირველნი დაეტაკებოდნენ და ებრძოდნენ მტერს. ეს იყო პირველი წყება, რომელსაც თავისი **მიმყოლნი** (რეზერვი) სრუ-

ლიად მესხნი და კლარჯნი... ჰყავდა. **მემარჯვნე მიმსვლელ-მცემელნი**, ე. ი. პირველ წყების მარჯვნივ და უკან იმყოფებოდნენ და ასეთივე **მემარცხნე მიმსვლელ - მცემელნი**, რომელნიც იმავე პირველ წყების მარცხნივ და უკან იმყოფებოდნენ. სულ უკან იდგა მეოთხე წყება, რომელიც მთავარ-სარდლის განკარგულებაში იყო და ან საერთო მაშველი ჯარის როლს ასრულებდა, ანდა განსაკუთრებულ მოვალეობას. ეს უკანასკნელი წყება თავის დანიშნულებით და ადგილით უკვე ნამდვილი თანამედროვე რეზერვის სწორია (Общій резервъ). დავაკვირდეთ ამ წყობილებას. ჯარის ასეთი დანაწილება, სადაც ყოველ ნაწილს შეეძლო თავისუფალი და სხვებთან შედარებით დამოუკიდებელი მოძრაობა-მოქმედება, შეფარდებული იყო ბრძოლის ველის ადგილობრივ თვისებებთან. მთა-გორიან ადგილებში ასეთი წყობილება უფრო ადვილად იმოძრავებდა, ყველა ჯარის ნაწილს შეეძლო ცალკე გზით სარგებლობა და თავის ძალების მტრისაგან უფრო ადვილად დაფარვა-დამალვა. წინამბრძოლს მტერი წვერებით ვერ შემოუვლიდა და გარს ვერ შემოერტყმოდა, რადგანაც წინამბრძოლის წვერები დაფარული იყვნენ და დაცული მემარჯვენე და მემარცხენე მიმსვლელ-მცემელნით, რომელნიც შემომვლელს მტერს ზურგით დაეცემოდნენ. თუ მტერი მთელს ამ წყობილებას გვერდით დაეცემოდა მაგ., მარჯვენა მხრით, მაშინ მემარჯვენე მიმსვლელ-მცე-

მელნი მარჯვნივ მიტრიალდებოდნენ, რაც შედარებით პატარა წყებისათვის ადვილი იყო და ამავე დროს წინა მბრძოლიც მარჯვნივ მიტრიალდებოდა და მემარცხნე მიმსვლელის მოვალეობას იკისრებდა. უკან მდგომი საერთო რეზერვი კი მიტრიალდებოდა აგრედვე და მემარჯვნე მიმსვლელის როლს იკისრებდა და წინად მემარცხნე მიმსვლელად ყოფილი ახლა საერთო რეზერვად იქცეოდა. ცხადია რამდენად კარგად იყო შეფარდებული ეს წყობილება ადგილობრივ პირობებთან და რამდენად უზრუნველყოფილი იყო იგი მოულოდნელ შემთხვევისაგან. მაგრამ მისი უპირატესობა მარტო ამით არ ისაზღვრება. რადგანაც ჯარი რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და ყველა ამ ნაწილს განსაკუთრებული დავალება და მიზანი ჰქონდა, შედარებით დამოუკიდებლად მოქმედებდა, ამიტომ ნაწილების უფროსებს დიდი ინიციატივის გამოჩენის საშუალება ეძლეოდათ და ეს გარემოება მთავარსარდალს ჯარის მოხმარებას და ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას მეტად უადვილებდა. გარდა ამისა, თუ ერთს რომელიმე ნაწილს მარცხი დაემართებოდა და იგი აირეოდა და უკან დაიხევდა, ეს სხვა ნაწილებში არეულობას არ გამოიწვევდა, პირიქით ამ ნაწილებს შეეძლოთ თავისუფლად დახმარებოდნენ უკუქცეულ ჯარს და მის მდევარს წვერებით ან და ზურგით დასცემოდნენ.

აიღეთ თანამედროვე ტაქტიკის სახელმძღვანელოები და დაინახავთ, რომ

დღეს ევროპიელ ჯარებში სწორედ ასეთი წყობილებაა შემოღებული. თანამედროვე ბატალიონი, ან პოლკი, ანუ უფრო დიდი ნაწილი ჯარისა სწორედ ამგვარ სქემით სარგებლობს. სამხედრო წესდებაში (Воинскій уставъ) პირდაპირ დაკანონებულია „გაშლა ბატალიონებისა როტებად (Строй по ротно), რომელიც სწორედ ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით არის შემოღებული. ევროპის ჯარებმა ამ გვარი წყობილება შემოიღეს ნაპოლეონის ომების შემდეგ.

გარდა ამისა მემატიანე კიდევ იმას გვამცნობს: **გარნა ოდესმე სამად მიმსგლელად ანუ სხვა-რიგ მოიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი.**“ ეს ზემოდ მოყვანილი წყობილება შაბლონი არ იყო და ყოველგვარი ცვლილება და ვარიაციები შეიძლებოდა გარემოების და ადგილობრივ პირობათა მიხედვით. აქ უკვე ცხადი შემოქმედებითი ნიჭი სჩანს და სამხედრო ხელოვნების მაღალ განვითარებას გვიმტკიცებს.

რადგანაც წყობილების ერთს ნაწილს შეადგენდა მუდმივი ჯარი (როქი), უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წყობილება შექმნილი და შემოღებულია დავით აღმაშენებელის მიერ, რაიც გვიმტკიცებს რომ გენიოსი სტრატეგი იმავე დროს გენიოსი ტაქტიკოსიც ყოფილა. ძველ საბერძნეთში ეპამინონდმა გენიოსი სარდლის სახელი გაითქვა მხოლოდ იმით, რომ მან პირველმა შემოიღო ლოლებრივი წყობილება და ბასრი სოლივით შე-

ჯგუფებულ ჯარით შუაზე გააპო მოპირდაპირის ოთხკუთხედიანი ფალანგა.

ნუ თუ დავით აღმაშენებელს ნაკლები უფლება აქვს ამ ტიტულისა? ქართველ ჯარის წყობილებას თან სდევს კიდევ ერთი დიდი ღირსება. თუ ყურადღებას მივაქცევთ ჯარის ნაწილთა შემადგენლობას, დავინახავთ რომ თითო ნაწილი უსათუოდ ერთდა იმავე კუთხის მცხოვრებთაგან შესდგებოდა, ე. ი. აქ მტკიცედ არის დაცული ტერიტორიალური პრინციპი, რასაც ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრის ხალხი ერთი მეორეს კარგად სცნობს, იცნობენ მათ კარგად აგრეთვე მათი უფროსები, მეომარნი ერთმანეთს უფრო გულიანად და მეტის ხალისით ეხმარებიან და რა თქმა უნდა მეზობლის წინაშე თავის შერცხვენას უფრო ერიდებიან. ჯარის გამოკვება უფრო ადვილი იყო ამ შემთხვევაში. სხვა და სხვა კუთხეებში ხალხი სხვა და სხვა იარაღს და სურსათ-საკვებს იყო ჩვეული და მისი გამოკვება ამ შემთხვევაში უფრო ადვილ დებიდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ყველა კუთხის ხალხი ერთიერთმანეთში არეულნი იქნებოდნენ. ჯარის ნაწილების ასეთს შემადგენილობას თათარყან დადეშქელიანი ერთგვარ ტრადიციაზე ამყარებს და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეთა შემოერთების ქრონოლოგიას უფარდებს. იქნებ ეს ასეც იყო, მაგრამ რომ სხვა უფრო ღრმა და პრაქტიკული მოსაზრებასაც ჰქონდა ადგი-

ლი ამას წინა მბრძოლის შემადგენ-
ლობა გვიმტკიცებს. ეს ნაწილი სამ-
ცხის, ჯავახეთის და კლარჯეთის
მცხოვრებთაგან შესდგებოდა და აქვე
იყვნენ აჯარელნი და შავშელნი, ე. ი.
იმ კუთხეების მცხოვრებნი, სადაც
უფრო ხშირად ხდებოდა დიდი ბრძო-
ლა. ამ მცხოვრებთ, რა თქმა უნდა,
კარგად ჰქონდათ შესწავლილი და შე-
თვისებული ბრძოლის ასპარეზი, გა-
ცნობილნი იყვნენ ადგილობრივ პი-
რობებს, კარგად იცოდნენ ყველა გზე-
ბი, გადასავალ-გადმოსავალი, საფარი
და გაშლილი ადგილები, ფონი, ხი-
დი და ადგილის ყველა თვისებანი.
რა თქმა უნდა სწორედ ასეთი ხალხი
უნდა ყოფილიყო იმ ნაწილში, რომე-
ლიც ჯარის მსვლელობის დროს წინ-
მავალი რაზმის (ავანგარდის) როლს
ასრულებდა და ბრძოლის დროს წი-
ნაშბრძოლი იყო. გარდა ამისა იგინი
უფრო მთაგორიან და უსწორ-მასწორ
ადგილებში ცხოვრობდნენ და ამიტომ
უფრო მსუბუქი და ადვილად სატარე-
ბელი იარაღით იქნებოდნენ აღჭურ-
ვილნი, მაშასადამე მათ უფრო ადვი-
ლად შეეძლოთ წინსვლა. უკანა რაზ-
მის, რეზერვის, შემადგენილობაც იმით
აიხსნება, რომ მუდმივი ჯარი, უფრო
კარგად გაწვრთნილი და უფრო კარ-
გად შეიარაღებული რასაკვირველია
მთავარსარდლის განკარგულებაში იქ-
ნებოდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო
მკაცრი და ენერგიული შეტევით ბრძო-
ლის ბედის თავისაკენ გადმოხრა ან და,
თუ წინამბრძოლი ჯარი დამარცხდებო-
და მისთვის აქტიური დახმარება. რაც

შეეხებოდა მემარჯვენეთ და მემარცხ-
ნეთ, მათი წყებების შემადგენლობა
იქნებ მართლა მათი სამშობლო კუთ-
ხეების მდებარეობით აიხსნებოდა.

იმ საოცარ გამარჯვებაში, რომე-
ლიც დავითის დროს ქართველ ჯარს
არა ერთხელ რგებია ბრძოლის ველ-
ზე, ბევრი რამ აიხსნება ქართველ ჯა-
რის შესანიშნავ საბრძოლველ წყო-
ბილებით, რომელშიაც ასე ბრწყინვა-
ლედ გამოსჭვივის მათი დიდებულ სა-
რდლის ნიჭი.

მრავალჯერ დაამარცხა დავითმა თუ-
რქობა, მათი თარეში მტკვრისაკენ
მოსპო, აღმოსავლეთით შირვანის და
რანის მხრით საზღვრები გააფართოვა
და გაამაგრა, მაგრამ ჯერ კიდევ დი-
დი იყო ძალა თურქებისა და ყოველს
ჟამს მოსალოდნელი მათი შემოსევა.
საერთო უბედურებამ თურქების სხვა
და სხვა საამირონი შეაკავშირა, მაგ-
რამ იგინი შეერთებულნიც ჰაინც ვერა
ჰბედავდნენ მარტო საკუთარი ძალე-
ბით დავითის წინააღმდეგ მოქმედებას.
მიჰმართეს სულტანს თხოვნით და სულ-
ტანიც, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდე-
ბოდა საქართველოს ესოდენ გაძლიე-
რებას და მაჰმადიანთა დაჩაგვრას. მან
დალოცა საქართველოსაკენ გალაშქ-
რება და თავის მხრითაც დიდი ჯარი
მიუმატა და ეს დიდძალი ლაშქარი
წამოვიდა საქართველოში და მოაღწია
დიდგორის—მანგლისის და თრიალე-
თის ხაზს. მოადგა თრიალეთის მთებს.
მაჰმადიანთა შეერთებული ჯარი ზო-
გიერთ მემატიანეთა სიტყვით 400,000
უდრიდა. ეს რა თქმა უნდა მეტად გა-

დაჭარბებული რიცხვია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ რამდენი კუთხიდან იყო შეგროვილი ჯარი, რომ საქართველოს საზღვრებში მყოფ საამიროთა გარდა, მონაწილეობას იღებდნენ სომხითში მყოფი მაჰმადიანებიც, აგრედვე მონაწილეობდა რანიც და თავის მხრით სულტანმაც დიდძალი ჯარი მიუმატა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შერთებული ჯარი არა ნაკლებ 200,000 აღწევდა. ამოდენი ჯარი თრიალეთის მთა-გორიან ადგილებში დაბანაკდა და ცხადია ეს უშველებელი ჯარი ასეთ ადგილში წესიერად ვერ გაიშლებოდა და თავისუფლად ვერ იმოქმედებდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს უზარმაზარი ჯარი სამ ნაწილად დაიყო და ერთი ნაწილი დიდ-გორსა, მეორე ნაწილი ბანგლისს და მესამე კიდევ დასავლეთით დადგა. ასე რომ ჯარი დანაწილდა და დავითს საშუალება მიეცა, იგი ნაწილ-ნაწილ დაემარცხებინა, მით უმეტეს, რომ თურქთა ჯარის ნაწილთა შორის, ადგილობრივ პირობათა წყალობით, ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო და ჩვეულებისამებრ ამისათვის არც დიდათ ზრუნავდნენ. დავითმა თურქთა ჯარის წინააღმდეგ მოუყარა თავი 61,000 მეომარს. მემატიანეს სიტყვით, თურქნი პირველ შეტევისთანავე მეოტ იქმნენ. თათარყან დადეშქელიანის სიტყვით, დავითი დაეცა მტრის მარცხენა ნაწილს, დაამარცხა იგი და ამ დამარცხებამ დანარჩენ ნაწილების უკან დახევა გამოიწვია, რადგანაც მათ საკვები და უკან დასახევი გზების გადაჭრა მოელოდა. ჩვე-

ნის აზრით, ეს შემცდარი აზრია. თუ დავითი მთელის თავის ძალით თურქების მარცხენა ნაწილს დაეცემოდა, ეს უკანასკნელი აღმოსავლეთისაკენ დაიხევდა და დანარჩენ ნაწილებს შეუერთდებოდა და მაშინ თვით დავითი დიდს გაჭირვებაში ჩავარდებოდა. ყოველ შემთხვევაში თურქებს გარდა სამხრეთისაკენ მიმავალ გზებისა კიდევ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, რანში, დასახევი გზები შთებოდათ, ასე რომ მათი მარცხენა ნაწილის დამარცხება საკვები გზების გადაჭრას არა ნიშნავდა. თუ მოვიგონებთ მემატიანეს ცნობას, რომ თურქებმა პირველ შეხლისთანავე უკან დაიხიეს და გაიქცნენ, უფრო ახლო იქნება სინამდვილესთან, რომ დავითი მთელის თავის ძალით შუა მდგომ ნაწილს თურქთა ჯარისას მოულოდნელად თავს დაესხა და გაანადგურა. შუაში მდგომ ნაწილის დამარცხება სრულიად შესწყვეტდა მარცხნით და მარჯვნით მდგომ ნაწილების შორის ისედაც სუსტს კავშირს და არც ერთს მათგანს არ ეცოდანებოდა მეორის ბედი და სწორედ ეს აიძულებდა ერთსაცა და მეორესაც გაქცევისათვის. ეს ბრძოლაც დავითის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და შეერთებული თურქთა ლაშქარი თითქმის მოსპობილ იქმნა.

ეხლა კი დავითს თამამად შეეძლო შესდგომოდა იმ საქმეს, რომლისთვისაც მან ესოდენი ღვაწლი, შრომა და ენერგია შესწირა. იგი რამდენიმე წელიწადს მეთოდიურად, დიდის მოთმინებით და გონიერებით უმზადებდა ამ

საქმეს ნიადაგს და ვიდრე მისი კეთილად დამთავრება ყოველ მხრ-ო უზრუნველ არა ჰყო, არ შეუდგა მას. ეს საქმე ტფილისის განთავისუფლება და შემოერთება იყო. შირვანის და რანის საზღვრები უზრუნველყოფილი იყო. ერთიც და მეორეც კარგად ჰგრძნობდნენ დავითის ძალას. სამხრეთი თურქები დიდ ხნობით ვეღარ მოაწყობ-ღნენ და ვერ გაბედავდნენ შემოსევას და დავითს თამამად შეეძლო ამდენი ხნის ლაშქრობა ტფილისის აღებით დაეგვირგვინებინა. დავითი გარს შემოერტყა ტფილისს და 1122 წ. „აიღო მეფემან ტფილისი პირველსა ომსაო“, ამბობს მემატიანე. მართლია მალე სელტანი შირვანს მოვიდა, აიღო შემახია და აქედან დავითს ემუქრებოდა, საქართველოში შემოსევას აპირებდა, მაგრამ დავითმა დაასწრო და თვითონ შეიჭრა შირვანში და მიადგა შემახიას. შეშინებულ სულტანმა დაზავები ირჩია და შემდეგ გაიპარა კიდეც. დავითი დაბრუნდა და ეხლა კი შეეძლო აქტიურ მოგერიებითი ბრძოლას შესდგომოდა და საზღვრები გაეფართოვებინა. თანდათან მან აღმოსავლეთის საზღვარი დარუბანდამდე გასწია. ასე რომ თანდათან მთელი შირვანიც დავითის საბრძანებლად გახდა. ეხლა ყურადღება მიაქცია სამხრეთის საზღვრებს და 1123 წ. „მაისსა აიხუნა სომხითისა ციხენი“, გაგი, ტერუნაკანი, ქავასნი, ქავაზნი, ნორაბერდი, მანასგონი და ტალინჯაქარი და ივნისს წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა-

ქარნიფორი, ბასიანნი სპერამდინ, ბუიაოაყური და დაწუნა ოლთისი, ე. ი. სამხრეთ-დასავლეთით საზღვრები ბუ-ნებრივ ხაზამდე იყო გაწეული და სამკუთხედი არტაან-ახალციხე-ახალ-ქალაქი უზრუნველყოფილი. დარჩა სამ-ხრეთ-აღმოსავლეთი და სამკუთხედი ყარი-ანისი-ლორი.—ლორი, როგორც ეიცით დავითმა წინადვე აიღო რახსის ნაპირებისაკენ გალაშქრების დროს და ახლა ანისის ჯერი იყო. ანისიც და-ვითმა 1123 წ. აღიღო და ამით თით-ქმის დაამთავრა თავისი დიდებული გეგმა. ეხლა მხოლოდ ყარის მიდამოე-ბი ღა შთებოდა და ამ უკანასკნელის დაპყრობა საბოლოოდ ჩაჰკეტავდა ოლთის-ყარის-ანისის და ჟელაქუნის ტბის ჩრდილოეთ ნაპირის ხაზს. საქაო-თველოს ტერიტორია შესევისაგან უზრუნველყოფილი იყო. დავითის მემ-კვიდრეებს ახლა მხოლოდ შორს გა-ლაშქრება სჭირდებოდათ, რათა ეს ხაზი საბოლოოდ გაემაგრებინათ. და-ვითმა მკვიდრი და მაგარი დულაბით ამოშენებული საძირკველი დაუტოვა იმ შენობას, რომელიც მისმა მემკვიდ-რეებმა ადვილად ააგეს და დაასრუ-ლეს. ასეთი იყო ღვაწლი და სამხედ-რო მოღვაწეობა ამ საოცარი ისტო-რიული პიროვნებისა.

დავაკვირდეთ მის მოღვაწეობას. იგი ყოველთვის მოქმედებდა გარემოების მიხედვით. დავითს ზედმიწევნით გაც-ნობილი ჰქონდა როგორც მოპირდა-პირის თვისებანი და ფსიხიკა, აგრედ-ვე ბრძოლის ველის ასპარეზის თვისე-ვანი. იგი ყოველთვის უახლოეს და

უსაპიროეს მიზანს ისახავდა. გეგმა მისი ყოველთვის მარტივი და მიზანშეწონილი იყო, ყოველ თავის ოპერაციას იგი ყოველმხრივ ნიადაგს უმზადებდა და წვრილმანებსაც კი არ ივიწყებდა. რაკი რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებოდა, იგი დაუყოვნებლივ და შეუჩერებლივ მის აღსრულებას შეუდგებოდა. ყოყმანი და რყევა ამ შემთხვევაში არასოდეს არ ემჩნევა. იგი მხოლოდ აქტიურ მოქმედებას აწარმოებს, ყოველთვის შეტევითი ბრძოლის მომხრეა და მოგერიებითი ბრძოლა არა სწამს. მტრის დაზვერაც და მის შესახებ ცნობების შეკრების საქმეც კარგადა აქვს დაყენებული. იგი დიდი მომხრეა თავის ხელქვეითთა ინიციატივისა, რაიც იმით მტკიცდება, რომ მისი მწიგნობართ უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი თავის ინიციატივით ილაშქრებს და იპყრობს ასეთს მნიშვნელოვან ციხეებს, როგორც სამშვილდეს და რუსთავს. იმავე ინიციატივობის პრინციპი გატარებულია ჯარის იმ დროისათვის საოცარ წყობილებაში. დავითი პირისპირ შეხლას ყოველთვის ერთის ან ორივე წვერით შემოვლას ზედ ურთობს. დავითი ყოველ გამრჯვებას ბოლომდის გამოიყენებს და უკუქცეულ ჯარს მკაცრად სდევნის და საბოლოოდ ანადგურებს.— ჯარის მოძრაობის მოწყობაში და მისთვის გზების გაყვანაში დავითი დიდს ნიჭს იჩენს. სწრაფად მოულოდნელი თავდასხმა მისი მოქმედების ჩვეულებრივი ხერხია. იგი ყოველისფერს ითვალისწინებს და მის საერთო მოქმე-

დებაში ცხადათ სჩანს ერთგვარი მეთოდი, თანდათანობა და სისტემა. თვით სტრატეგიაში, სადაც იგი სტრატეგიულ შემოვლას მიმართავს და ტაქტიკაში, სადაც მას საოცარი წყობილება შემოაქვს, დავითმა ბევრი რამ ახალი, იმ დროისათვის სრულიად უცნობი შემოიტანა და შექმნა. ყოველ მის ოპერაციას უმაღლესი ხარისხის შემოქმედებითი ნიჭის ბეჭედი ასვია.

ყველა ზემოდ ნათქვამი უფლებას გვაძლევს თამამად აღვიაროთ, რომ დავით აღმაშენებლის სახელი სრულიად ღირსია იმ პანთეონში მოთავსებისა, სადაც ოქროს ასოებით წარწერილია მსოფლიოს გენიოსი სარდლების სახელები.

1125 წელს მიიცვალა გენიოსი სარდალი და პოლიტიკოსი დავით აღმაშენებელი. განუსაზღვრელი იყო მისი ღვაწლი საქართველოს წინაშე საერთოდ და მის სამხედრო ძლიერებისა კერძოდ. ვისაც სურს სავსებით შეიგნოს მისი ნაღვაწი, მან უნდა გაითვალისწინოს თუ რა მიიღო დავითმა მემკვიდრეობით თავის წინაპართა მიერ ნაანდერძევი და რა დაუტოვა თვითონ თავის მემკვიდრეებს. ახალგაზრდა დავითს ერგო გაოხრებული, გატიალებული, დაქსაქსული და დანაწილებული სამეფო, რომლის უმთავრეს ნაწილს თურქები ჰფლობდნენ, რომლის უსაჭიროესი საზღვრები არამც თუ უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ, არამედ იმავე მტერს ხელთ ეპყრა. და დაუტოვა თავის მემკვიდრეებს შეერთებული, მოშენებული, მოწყობილი და ძლევა-მოსილი სამეფო, გაფართოებულ და გამა-

გრებულ საზღვრებით; ძლევამოსილი, გაწვრთნილი და გამოცდილი ჯარი, რომლის საფუძველს მშვენივრად მოწყობილი მუდმივი ჯარი შეადგენდა. დავითის მუდმივ ბრძოლაში იწვრთნებოდნენ და სწავლობდნენ სარდლები და მისი გენიოსური სტრატეგია და ტაქტიკა გარდაეცემოდა მის ნიჭიერ მოწაფეებს.

დავითის მემკვიდრეებს მხოლოდ დავითის მოქმედება უნდა გაეგრძელებინათ, მხოლოდ მისი გენიოსური გეგმა ლოღიკურად დაესრულებინათ. დავითმა გზაც გაუკვლია და საშუალებანიც დაუმზადა.

არ შეგვიძლიან არ გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლითაც ამთავრებს ჩვენი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებელის მეფობის ისტორიის მოთხრობას: „ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, სიქართველოს გამაერთიანებელის და აღმაშენებელის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალურ სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებელის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“. („ქართ. ერის ისტორია“ გვ. 542).

ამას ჩვენის მხრით დაუმატებთ, რომ თუ ოდესმე ქართველ ერის ისტორია მსოფლიო ისტორიაში სამართლიანად ღირსეულ ადგილს დაიპერს, მაშინ

აგრედვე სამართლიანად დავით აღმაშენებელი მსოფლიოს გენიოს სარდალთა რიცხვში ჩაწერილ იქმნება, რამე. თუ მან უკვდავ ჰყო ქართული სამხედრო ხელოვნება და ამ ხელოვნების ისეთი მარგალიტები გვიჩვენა, რომლის მგზავსს მხოლოდ გენიოს სარდალთა მოღვაწეობაში ვხედავთ.

დავითის შემდეგ ქართველები სამხედრო საქმეში დიდებულ შეფის ნაანდერძევს ასრულებდნენ, მისივე გეგმას ანხორციელებდნენ. დავითისძე მეფე დემეტრე, რომლის შესახებ ნაკლები ცნობებია შერჩენილი, მართალია სახელოვან მამასთან შედარებით, როგორც სარდალი, ბევრით განსხვავდებოდა, მაგრამ როგორც მისი მოწაფე და მოწმე გენიოს სარდლის მოღვაწეობისა ღირსეულად განაგრძობდა მამის მიერ ნაანდერძევ პოლიტიკას. იგი დავითსავით შორს მჭვრეტი არ იყო და, მისს ფართე ფანტაზიას და შემოქმედებითი ნიჭს მოკლებული, მხოლოდ მამის მემკვიდროების შერჩენა-შენახვასა ცდილობდა. მის საბჭედრო მოქმედებაში მხოლოდ მოგერიებითი ომებს და საზღვრების დაცვასა ვხედავთ. დემეტრემ განსაკუთრებული ყურადღება სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებს მიაქცია. რანში გალაშქრებით დაიპყრა მნიშვნელოვანი ციხე ხუნანი, რომელიც მდ. ქციის და მტკვრის შესართავთან მდებარეობდა. ეს ციხე დარაჯობდა განძიდან ტფილისისაკენ მიმავალ გზებს და ჭკეტავდა მტკვრის და ქციის ველებს. აღიღო დემეტრემ აგრედვე ციხე დმანი-

სი, რომელიც სამშვილდის და ლორის შუა მდებარეობდა და ამ ციხის დაპყრობით საბოლოოდ გაამაგრა და უზრუნველ ჰყო სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი. ამ საზღვრის უფრო მეტი გამაგრებისათვის დემეტრემ განძაშიაც კი გაილაშქრა და გამარჯვებული დაბრუნდა, რანი საგრძნობლად დააუძლურა და აქედან შიში აღარ მოელოდა. როგორც მოსალოდნელი იყო თურქები ანისის დაკარგვას ვერ შეურიგდებოდნენ. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ციხე—ქალაქს. სამხრეთიდან ამ ქალაქით მიდიოდნენ საუკეთესო და უახლოესი გზები ტფილისისაკენ, როგორც სამშვილდით, აგრედვე თრიალეთით. მეორეს მხრით ანისი ქართველ ჯარისათვის საუკეთესო და მოხერხებული ბაზა იყო სამხრეთისაკენ, რახსის ნაპირებისაკენ, გალაშქრებისათვის. ასე რომ თვით თავის საკუთარ ტერიტორიის დაცვისათვის თურქებისათვის მეტად საჭირო იყო ანისი. სწორედ ამატომ ამირა სალდუხი 1154 წელს ქ. ანისს მოადგა და გარს შემოერტყა. დემეტრე სწრაფად გამოეშურა ანისისაკენ და დაეცა თურქებს, დაამარცხა და თვით სალ-დუხი ტყვედ წაიყვანა. ანისი კვლავ გამაგრებულ იქმნა.

ამრიგად სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრები, როგორცა ესთქვით, საკმაოდ გამაგრებული იყო. დემეტრეს მოსდევს გიორგი მეფე, რომელიც უფრო თავის პაპას—დავით აღმაშენებელს წაგავს სამხედრო ხელოვნებაში. უშიშარი და ენერგიით სავსე სარდალი, იგი მარ-

ტო საზღვრების დაცვით არა კმაყოფილდება და აქტიურ მოგერიებითი ოპერაციებს აწარმოებს. მართალია მას დავითთან შედარებით ნაკლები შორსმჭვრეტელობა, სიდინჯე, გამჭრიახობა და ნებისყოფა აქვს, მაგრამ დავითის იდეა სამეფოს დაცვისა და თვით სამხედრო მოქმედების წარმოებისა კარგად შეგნებული ჰქონია. იგი მთავარ ყურადღებას სამხრეთის ასპარეზს აქცევს, განსაკუთრებით ანისის მიდამოებს. მას კარგად გათვალისწინებული ჰქონდა ამ ქალაქის მნიშვნელობა და კარგად ესმოდა, რომ მისი საუკეთესო დაცვა აქედან შორს სამხრეთით გალაშქრება იქნებოდა. როგორც ეტყობა გიორგი ლორის-ანის და კარის სამკუთხედის მნიშვნელობასაც კარგად ჰგრძნობდა და ამიტომ პირველხნობითვე ყურადღება აქეთ მიაქცია. პირველი მისი გალაშქრება ყაღზევანისკენაა, როდესაც მან „წარმოტყუენა ყოველი ხევნები კლდოვანნი და ქალაქები აშორნისა“, რომელნიც შაჰარმენის ხელთ იყო“. (იხ. ჯავახ. „ქართველი ერის ისტორია“ გვ. 503). ყაღზევანი (ეხლანდელი კაღიზმანი) კარის სამხრეთით მდებარეობს. ასე რომ ამ გალაშქრებით გიორგი კარის და ანისის სამხრეთით მდებარე ხაზს იპყრობდა და, როგორცა სჩანს, ანისის დაცვის გარდა იგი კარის მიდამოების შემოვლასაც აპირებდა. ეს უკვე ლოღიკური გაგრძელებაა დავით აღმაშენებელის გეგმისა. ქართველი ჯარი თანდათან ამაგრებს ჩვენ მიერ აღნიშნულ ხაზს, ოლთისი-კარი-ანისი.

როგორც ისტორიკოსი ძოგვითხრობს ქ. ანისი დემეტრეს კვლავ დაუბრუნებია მაჰმადიან მმართველისათვის, მართალია საქართველოს მეფის პროტექტორატით. გიორგის კარგად ესმოდა, რომ ანისი ერთ-ერთი მძიეია იმ მაგარ ხაზისა, რომელსაც უნდა დაეფარა სამხრეთით საქართველო და მარტო პრატექტორატით გიორგი არ დაკმაყოფილდებოდა. ამიტომ, კალზევანზე გალაშქრების შემდეგ, გიორგი მიუბრუნდება ანისს და კვლავ სავსებით დაიპყრობს. აქ ჩააყენებს მცველად თავის სპასალარს და მასთან 2000 მეომარს. როგორც ვსთქვით ანისი თურქებისათვისაც მეტად მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ კვლავ შეერთდნენ და შეერთებული ძალით წამოვიდნენ ანისისაკენ, გარშემოერტყნენ ქალაქს. გიორგი დავითისებურად სწრაფად და მოულოდნელად (არც კი მოუცადა ჯარის ბოლომდე შეგროვებას) მტერს დაეცა და საშინლად დაამარცხა. მაგრამ გიორგი ამას არ კმარობს. მას სწადია ანისის საბოლოოდ უზრუნველყოფა ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით, საიდგანაც უფრო მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა, ე. ი. რახსის ველის მიმართულებით (იხ. ზემოდ.) გიორგი ილაშქრებს ქ. დვინისაკენ, რომელიც არარატის მახლობლად მდებარეობდა. („აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღუარი სომხეთისა და ადარბადაჯანისა“, მათე ურჰაელის „ისტორია“. ივ. ჯავახ. „ქართ. ერის ისტ.“) აღსანიშნავია ეს ბრძოლა, სადაც ბრძოლის ველს სახელოვან დავით აღმაშენებლის შარა-

ვანდედით მოსილი აჩრდილი დასტრიალებს. გიორგის ქალაქის წინ დახვედრია მტრის ჯარი. როგორც სჩანს, ამ ჯარისათვის ორივე მხრით შემოუვლია, მოუმწყვდევია და მხოლოდ ნაწილს მოუსწვრია გასხლტომა და ქალაქისაკენ გაქცევა. გიორგი ამათ ფეხდაფეხ დასდევნებია და მათთან ერთად ძალით შეჭრილა ქალაქში და დაუპყრია იგი. მრავალის ნადავლით და ტყვეებით გიორგი შინ დაბრუნდა.

„ანისისთან დამარცხებამ და დვინის დაკარგვამ მაჰმადიანთა ამირები და მთავრები საშინლად განარისხა. ქართველები მათს საგამგეო მიწა-წყალს კვალ-და-კვალ იპერდნენ და განსაცდელი კარზე ჰქონდათ მიმდგარი. ამიტომ ეხლა უფრო მეტის მხნეობითა და ერთსულოვნობით შეჰკრეს პირი და გადასწყვიტეს ქართველებისათვის წინააღმდეგობა შეერთებულის ძალით გაეწიათ და ანის-დვინის დამარცხებისათვის მაგიერი გადაეხდეინებინათ“. (ივ. ჯავახიშვილი „ქართ. ერის ისტორია“. გვ. 559).

მაჰმადიანთა დიდი ჯარი სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრებს შემოსევია, აუღია ციხე გაგი და მიდამო აუოხრებია. გიორგიმ გაიგო რა ესა თავის მხრითაც დიდი ჯარი შეჰყარა, მოუწოდა და მიიშველა ოსებიც და მტრისაკენ წამოვიდა. გიორგის დიდს ლაშქარს შეუშინებია მტერი და იგი ციხის ზღუდეებს ამოჰფარებია და მერმე ციხეც დაუტოვებია. გიორგის დადევნება ვერ გაუბედია და ლორის და დმანისის მიდამოებში დაბრუნებულა

და, როგორც ეტყობა აქ ნადირობას და მხიარულად დროს გატარებას მისცემია. აქ იჩინა თავი დიდმა დაუდეგრობამ. როგორც ეტყობა გიორგის დაავიწყდა დავითის წესი, სიფრთხილე. მტერმა უბრძოლველად დაიხია, მას დიდი ძალები ჰყავდა და მოსალოდნელი იყო იგი დროს იხელთავდა და კვლავ შემოესეოდა სამეფოს. თუ გიორგიმ მტრის დადევნება ვერ გაბედა და თავის მხრითაც ბრძოლას მოერიდა, მით უმეტეს საჭირო ზომები უნდა მიეღო და ფრთხილად მოქცეულიყო. ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ. გიორგი განცხრომას მიეცემა და არავითარ ზომებს არ მიიღებს მოულოდნელ თავდასხმის თავიდან აცილებისათვის. უფრო მეტი. როგორც ეტყობა ქართველი ჯარი თავის მეფითურთ ისე იყო გართული დროს გატარებაში, რომ ჯარის ბანაკში მოდის აშკარად ჯაშუში თურქებისა, ყოველისფერს დაათვალიერებს, გაიცნობს და შეატყობინებს თურქებს. როგორც ირკვევა ეს ჯაშუში გამაჰმადიანებული ქართველი იყო ხლათის სულტნის მიერ გიორგისადმი ვითომ და მოციქულად წარმოგზავნილი. ამ უცნაურმა მოციქულობამ არავის როგორცა სჩანს იქვი არ დაუბადა. არავინ არ გააკვირვა, რატომ დასჭირდათ თურქებს მოციქული, როდესაც დამარცხებულ არ იყვნენ დ ი არც გაჭირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მაგრამ „მოციქულმა“ თავისი მოვალეობა კარგად შეასრულა და ერთს მშვენიერ

დღეს მთელი თურქთა ლაშქრობა გიორგის ჯარს სრულიად მოულოდნელად თავს დაასხა და თავზარი დასცა. თურქებმა მძინარეებს მოასწრეს ქართველებს და ისე საშინლად დაამარცხეს, რომ თვით მეფემ ძლივს უშველა თავს.

ეს დიდი დამარცხება იყო. მას, გარდა მორალური მნიშვნელობისა, დიდი სტრატეგიული შედეგიც მოჰყვებოდა. დავით აღმაშენებელის დროიდან დაწყებული თითქმის ყველა ბრძოლაში ქართველები იმარჯვებდნენ. ზედიზედ დამარცხებით მაჰმადიანებს თავზარი დასცეს და ქართველ ჯარის ესოდენი მსხვერპლი და შრომა ბრწყინვალედ ბოლოვდებოდა სამეფოს საზღვრების გაფართოება-გამაგრებით და ეხლა კი გიორგის დაუდევრობამ ასეთი მარცხი გამოიწვია. მაჰმადიანობა გამხნევდა და ამ გამხნევებას კი ქალაქ ანისის დაკარგვა მოჰყვა. გიორგი იძულებული გახდა ზაეს დათანხმებულიყო და ქალაქი ანისი კვლავ მაჰმადიანებისათვის დაებრუნებინა. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი კვლავ გაიღო და მის გამაგრებისათვის შეწირულმა ამდენმა შრომამ ფუჭად ჩაიარა. ბრწყინვალე და ნიჭიერი სარდალი იყო გიორგი, მაგრამ ეს უკანასკნელი მარცხი, რომელიც მხოლოდ დაუდევრობით იყო გამოწვეული გვიმტკიცებს, რომ მას საკმაო სიდინჯე და სიფრთხილე აკლდა. ასეთი დამარცხება გიორგისათვის კიდევ სხვა მხრით იყო მნიშვნელოვანი. დავითმა, დემეტრემ და თვით გიორგიმაც საკმაოდ მოუხარეს ქედი დიდ-

გვარიან თავადებს. ძლევა მოსილ და ყოველთვის გამარჯვებულ მეფეებთან დ-დგვარიანი მოხელეები ვერასა ბედავდნენ და ვერც მრავალგზით დამარცხებულ გარეშე მტრის დახმარების იმედი ექნებოდათ. ამიერიდან კი როგორც ეტყობა დიდგვარიან თავადებს კვლავ გაეღვიძათ იმედი. იწყება შეთქმულობა მათშორის, რომელ-ც დემნას განდგომით და შინაურ განხეთქილებით მთავრდება. მართალია ბოლოს და ბოლოს აქ გიორგიმ გაიმარჯვა, რა თქმა უნდა მუდმივი ჯარის წყალობით და უფრო იმით, რომ ქართველობა წესიერებას შეეჩვია და სრულიად საქართველოს ერთიანობის იდეას შეეგუა, მ-გრამ ამ შინაურმა განხეთქილებამ თვით გიორგიზედაც მეტად მძიმედ იმოქმედა და სამხედრო მოქმედება, საზღვრების გაფართოება-დაცვისაკენ მიმართული, დიდი ხნით შეაჩერა. მართალია გიორგიმ შემდეგ საქმე ცოტათი გამოაბრუნა და 1173 წელს ანისი კვლავ დაიბრუნა, მაგრამ ანისის მიდამოები და ქ. დვინი კვლავ სხვის ხელში იყო. დემნას განდგომის დროს გიორგიმ გაპირვებაში დიდი ენერგია და შეურყეველი ნების ყოფა გამოიჩინა და ამბოხების დაწყნარების შემდეგ რადიკალური ზომა მიიღო და სამეფოს უმაღლესი თანამდებობა დიდგვარიანთა მაგიერ სრულებით უგვარო კაცს ნაყიჩაღარს ყუბასარს ჩააბარა.

გიორგის ლორესთან დამარცხებით და დემნას განდგომით გამოწვეულ არეულობით თურქებმა მაინც ვერ ისა-

რგებლეს, მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებელთ მათი იმედი ჰქონდათ და მიმართეს კიდეც. და სწორედ ეს ფაქტი მაჩვენებელია რამდენად დაუძლურდნენ თურქები და სამაგიეროდ რამდენად გაძლიერებულ და გამაგრებულ იქმნა თვით საქართველო.

ეს ნაყოფი იყო სახელოვან დავით აღმაშენებელის და მის ღირსეულ მემკვიდრეების ამაგის და ღვაწლისა. იმ შენობის კედლები, რომელსაც დავით აღმაშენებელმა მკვიდრი და მაგარი საძირკველი ჩაუყარა აშენებულ იქმნენ და ბოლოდ ბრწყინვალე სახურავი აკლდა. დავითის მიერ აგებულ ძეგლს მის სამშობლოს ძლიერებისა და აღყვავებისა, მხოლოდ მშვენიერებით შემკული გვირგვინი აკლდა და ეს აღასრულა და საბოლოოდ განაპრწყინა დავითის ღირსეულმა შთამომავალმან დიდებულ მეფემან თამარმან.

როგორც ნათქვამი გვქონდა, გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს საზღვრები საკმაოდ გამაგრებული და უზრუნველყოფილი იყო. შირვანი და რანი ქართველთა ჯარის მიერ ხშირად დამარცხებული იმდენად დაუძლურდნენ და დაქვეითდნენ, რომ ქართველების მოხარკედ გახდნენ და ამ მხრით საქართველოს ტერიტორიას შიში არ მოელოდა. პირიქით საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვდა ამ სუსტ საამიროთათვის მფარველობა გაეწიათ ქართველებს და მტრისაგან დაეცვათ. უკვე გიორგი მესამე დაეხმარა შირვან შახს და ლეკებისა და დარუბანდელთა შე-

მოსევისაგან დაიფარა. შემდეგ ქართველები რანის მფლობელსაც არა-ერთხელ დახმარებიან. ასე რომ აღმოსავლეთის საზღვრებმა თავის უწინდელი მნიშვნელობა დაჰკარგეს და ახლა მათი მნიშვნელობა მხოლოდ იმით განისაზღვრებოდა, რომ ამ მხრის სამხრეთიდან წამოსულ სპარსეთის სულტნებს და ამირებს შეეძლოთ საქართველოში შემოსევა. ამიტომ ეხლა საქმე მარტო საზღვრების დაცვაში კი არ იყო, არამედ იგინი საბოლოოდ უნდა უზრუნველეყოთ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ შორს გალაშქრებით, ფართო აქტიური მოქმედებით.

სამხრეთ საზღვრების შუა ნაწილში მხოლოდ კარი და მისი მიდამოები ქართველთა ხელთ არ იყო და ამ ალაგას, მაშასადამე, საზღვარი ჯერ კიდევ ღია შეებოდა. მართალია ქ. ანისი გიორგიმ დაიბრუნა, მაგრამ მისი მიდამოები მოპირდაპირეს ეკუთვნოდა და ამ მხრით მტერს ყოველთვის შემოსევა შეეძლო. ოლთისის მიმართულებით ქართველებმა ბასიანსაც კი მიაღწიეს, მაგრამ აქ სამხრეთით დიდი და საკმაოდ ძლიერი საამიროები იყვნენ, როგორც არზრუმისა, რუმ-ყურიანისა (ხოროსნისა) და ხლათისა. ამ საამიროთა შეერთებული ჯარი მაშინდელ დროში თითქმის ურიცხვს ძალას წარმოადგენდა და ამ ძლიერ ჯარს აგრედვე შეეძლო საზღვრების გარღვევა და საქართველოში შემოსევა.

მაშასადამე აქაც ქართველების მხრით საჭირო ხდებოდა საზღვრების აქტიუ-

რი დაცვა, კიდევ სამხრეთით გალა-
შქრება. ცხადია თავის მოქმედებაში
რა გეგმას უნდა დასდგომოდა გიორ-
გი III მემკვიდრე.

სამეფო ტახტზე აღვიდა ბრწყინვა-
ლე მეფე თამარი. ამ სახელის ირგვ-
ლივ ქართველის გული და აზრი, ქარ-
თველი ერი სამშობლოს გაერთიანე-
ბის, ძლევამოსილების და კულტურულ
გაბრწყინვალების ოქრო-მარგალიტე-
ბით გამოჭედილ ძეწკვს ავლებს. თამა-
რის დროს საქართველოს სახელმწი-
ფოებრივმა და კულტურულმა განვი-
თარებამ იმ დროისათვის უმწვერვა-
ლესობამდე მიაღწია და თავისთავად
ცხადია, რომ მისი სამხედრო ძა-
ლაც და ძლიერებაც მაღალ სა-
ფეხურს მიაღწევდა. მაგრამ თუ
დავაკვირდებით თამარის მეფობის
ამ უკანასკნელ დარგს დავინახავთ,
რომ ეს შედეგი იყო მისი ბრწყინვალე
წინაპართა მოქმედებისა, ლოლიკური
დასკვნა მათი მოქმედებისა და ღვაწ-
ლისა. ყველა ეს გაგრძელება და აღ-
სრულება იყო დიდებულ დავით აღმა-
შენებლის დიდებულ გეგმისა. გამოც-
დილი და გაწვრთნილი ძლევა-მოსილი
ჯარი და თითქმის ყველა მოსაზღერე
სტრატეგიის მხრით დიდათ მნიშვნე-
ლოვან რაიონების დაპყრობა, მკვიდრი
საფუძველი და ძლიერი საშუალება
იყო მომავალი ბრწყინვალე ლაშქრო-
ბისა. თამარისავე წინაპრებმა გამოზარ-
დეს და გამოწრთვნეს მთელი რიგი
სარდლებისა, რომელთაც კარგად და
ზედ-მიწევნით შესწავლილი და შეგნე-
ბული ჰქონდათ სამხედრო საქმე და

ის დიადი იდეა, რომელიც გენიოსმა დავითმა უანდერძა ქართველ მხედრობას. ხანგრძლივმა ომებმა და ბრძოლამ კარგად შეაგნებინა მათ სტრატეგიული მნიშვნელობა სხვა და სხვა მოსაზღვრე რაიონებისა და ჩვენ დავინახავთ, რომ თამარის სარდლებს ეს კარგად გათვალისწინებული ჰქონდათ და თავის მოქმედებას ყოველთვის ამაზე ამყარებდნენ.

მართალია, თამარის გამეფების უმალვე დიდგვარიან თავადთა და მაღალ მოხელეთა შორის სხვა და სხვა მიდრეკილებამ იჩინა თავი, მაგრამ იმდენად განმტკიცებული იყო თამარის წინაპართა მიერ შექმნილი წესწყობილება, რომ ბოლოს და ბოლოს თამარმა ძლია და გამარჯვება მაინც მას დარჩა. ჩვენ ამ პოლიტიკურ მოძრაობას არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დიდგვარიანთა ამხედრება და გაფიცვა გამოწვეული იყო გიორგი III მიერ მიღებულ ზომით. როგორც გვახსოვს, დემნას განდგომილობის შემდეგ გიორგი მოხელეობის სფეროშიაც იმ გზას დაადგა, რომელიც სამღვდელოების შესახებ ირჩია დავით აღმაშენებელმა. შთამომავლობას და გვაროვნობას პირადი ღირსება და დამსახურება დაუპირდაპირა. რა თქმა უნდა, იგი საქმის ინტერესით ხელმძღვანელობდა, მაგრამ მეორეს მხრით ეს საუკეთესო ზომა იყო დიდგვარიან თავადების საბოლოო დაუძლურებისათვის და იმ საშინელ სენის მოსასპობად, რომლის წყალობით საქართველოს ესოდენი უბედურება დასტეხია თავს.—

მაგრამ იმავე ზომამ გამოიწვია სახელ-
მწიფო მმართველობის ასპარეზზე ახა-
ლი ელემენტი, დამსახურებული მოხე-
ლეობა, რომელიც მართალია, შთამო-
მავლობით და გვაროვნობით ვერ მოი-
ტანდა თავს, მაგრამ როგორც ახალი
ელემენტი, სახელმწიფოს ახალ ცხოვ-
რებასთან უფრო შეგუებული პირველ-
ხნობითვე დიდს და მნიშვნელოვან ძა-
ლად იქცეოდა. იმდენად გაძლიერდა
უკვე თამარის მეფობის პირველ წლებ-
ში ეს ახალი ელემენტი, რომ შეთქმუ-
ლობაც კი მოახდინეს და არსებულ სა-
ხელმწიფოებრივ წესწყობილების შეც-
ვლაც კი მოიწადინეს. და თუ ბოლოს
და ბოლოს წადილს ვერ მიაღწიეს,
მხოლოდ იმიტომ, რომ მათსა და დიდ-
გვარიან თავადთა შორის ინტერესე-
ბის წინააღმდეგობა სუფევდა და მეფემ
სწორედ ამით ისარგებლა და ორივე
მოძრაობა დასაწყისშივე ჩააქრო. ეს
მხოლოდ იმისი მაჩვენებელია, რომ მე-
ფის უფლება ჯერ-ჯეროობით იმდენად
ძლიერი იყო და მეორეს მხრით, დიდ-
გვაროვან თავადების წადილი უკვე
ხალხის თანაგრძნობას ვერ მოიხვეჭდა.
დავით აღმაშენებელის და მის მემკვი-
დრეების ძლევამოსილმა ლაშქრობამ
სამეფოს დიდი სიმდიდრე შესძინა
ქვეყანა დაამშვიდა და შოაშენა, მტრის
შემოსევა და რბევა-აოხრება თითქმის
დაავიწყდათ და ყველა ამას ხალხი,
რა თქმა უნდა, დამყარებულ წეს-წყო-
ბილებას მიაწერდა და თვითმპყრო-
ბელი მეფის ავტორიტეტი დიდი იქ-
ნებოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ
მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ტახტ-

ზე ქალი აღვიდა და თვით სამეფოში მაღალ წრეებში ორი ზედი-ზედ სხვა დასხვა გვარი მოძრაობა დაიწყო, ვერც ერთმა საჭირო ნიადაგი და საკმაო ძალა ვერ ჰპოვა და ორივე ძლეულ იქნა. თვით სამეფო ოჯახშიაც განხეთქილება მოხდა და განდევნილმა თამარის პირველმა ქმარმა აჯანყება მოაწყო, ბევრი დიდგვარიანი თავადები მიიმხრო, მაგრამ მაინც ვერას გახდა და დამარცხდა.

სწორედ ამითვე აიხსნება, რომ მიუხედავად ამ არეულობისა და აჯანყებისა, ქართველების ჯარმა მაინც არ დაჰკარგა ის თვისებანი და ღირსებანი, რომლითაც იგი შემკული იყო და სხვადასხვა პირთა ხელში დიდების მოპოების იარაღად არ გახდა.

როგორც ვიცით, თამარის პირველი ქმარი იყო რუსი გიორგი, რუსის მთავრის შვილი. ეს გიორგი პირველ ხნობით გამოცდილ და მამაც სარდლად გვეხატება. იგი ამარცხებს და უკუაქცევს თურქებს, რომელნიც არანიდან გელაქუნის ტბის ჩრდილოეთით წამოსულნი პალაკაციოს შეესივნენ. დაამარცხეს ქართველებმა აგრეთვე თურქები, რომელნიც კარნუქალაქიდან შავშეთს შეესივნენ. როგორც ეტყობა, ეს ნხოლოდ კერძო ხასიათის ნავარდობა იყო თურქთა მხრით. მაგრამ უკვე ამ ნავარდობამ ქართველებს აჩვენა, რომ საზღვრები საკმაოდ უზრუნველყოფილნი არ არიან. ამიტომ ფართო გალაშქრება მოაწყეს და კარისაკენ გაემართნენ. აიღეს კარი, კარნიფორი და ბასიანს მიაღწიეს.

ანისის გასამაგრებლად მხარგძელებმა დვინისაკენ გაილაშქრეს, გაილაშქრეს გელაქუნისკენაც. ერთი სიტყვით ჯერ-ჯერობით ქართველი ჯარი მხოლოდ აქტიურად საზღვრებს იცავდა და მტერს საშუალებას უსპობდა შემოსევისათვის.

მაგრამ მალე სამეფო დიდს განსაცდელში ჩავარდა. თამარი პირველ ქმარს გაეყარა და რუსი გიორგი განდევნეს. რა თქმა უნდა, ექსორიად ქმნილი გიორგი ამ გვარ ბედს არ შეურიგდებოდა და 1190 წ. ბიზანტიიდან კარნუ-ქალაქში მივიდა და აქ ქართველ დიდ-გვარიანთა მოხელეებს ამცნო თავისი სურვილი დაბრუნების შესახებ. რა თქმა უნდა ზოგიერთ თავადებისათვის ეს მეტად სასიამოვნო ამბავი იქნებოდა და მათ მხარი დაუჭირეს. პირველი მიემხრო კლარჯეთის და შავშეთის ერისთავი, მას მიჰყვნენ სამცხის და დასავლეთ საქართველოს მფლობელნი. მეამბოხენი სამცხეში შეერთდნენ. მიუხედავად დიდი გამოცდილებისა გიორგის აქ დიდი შეცდომა მოუვიდა. მან ჯარი ორად გაჰყო. ერთი ნაწილი ნაჭარმაგევს და გორის მიდამოებში გადვიდა, მეორე კი ციხე ოძრხესთან. საკვირველია, რომ იმ გვარ პირობებში გიორგიმ ორად გაჰყო თავისი ჯარი და ნაწილ-ნაწილ დამარცხებას არ შეუშინდა. მისთვის მეამბოხეთა ჯარი არც იმდენად სანდო იყო და ამ ჯარის დიდი ნაწილის ხელიდან გაშვება ან დაუდეერობის შედეგია, ან და სხვა რაიმე მიზეზით მოხდა. უფრო საფიქრებელია, რომ დიდგვარიანი მე-

ამბიონი ერთად ვერ მოთავსდნენ და ცალ-ცალკე მოქმედება ირჩიეს. ნაჭარმაგევისაკენ წასულმა ჯარმა მისვლის უმალ ქვეყანა ააოხრა და ძარცვაგლეჯა დაიწყო. ამით, რა თქმა უნდა, მცხოვრებთა სიმპატიას ვერ დაიმსახურებდა და გასაკვირველი არ არის, რომ მეამბოხეთა ამბავი, მათი ჯარის დანაწილება და მდგომარეობა სწრაფ თამარს აცნობეს. მეამბოხეთ უნდოდათ ჯავახეთით და შემდეგ თრიალეთ-სომხეთით წამოსვლა, ალბად იმედი ჰქონდათ, რომ რანის მთავარსაც მიიმხრობდნენ. თამარმა თავის ერთგულთა შორის ჯარი მოაგროვა და თაეის საუკეთესო სარდლებს უბრძანა გალაშქრება. რადგანაც მტრის გეგმა იცოდნენ, საკუთარი გეგმის აშენებაც ადვილი იყო. თამარის ჯარი შეერთებულის ძალით ჯერ მეამბოხეთა იმ ნაწილისაკენ გაეშართა, რომელიც სამცხეში იმყოფებოდა. ჯავახეთში მეფის ჯარს მესხებიც მიემატნენ და ეს გაძლიერებული მხედრობა მტკვარს მიადგა. მეამბოხეთ უკან დაიხიეს, თამარის ჯარმა არ დააყოვნა, გადალახა მტკვარი, დაედევნა მტერს და თმოგვსა და ერუშეთის შუა მედგრად ეკვეთა და საშინლად დაამარცხა. ამ ერთი დაკერით მეამბოხეთა ბედი გადაწყვეტილი იყო. მეამბოხეთა მეორე ნაწილმა, რა წამს გაიგო თავისი ჯარის დამარცხება ერუშეთთან, დაიშალა და გაიქცა.

ამის შემდეგ ქართველების ჯარი განაგრძობდა კერძო ლაშქრობას და საზღვრების აქტიურ დაცვას. მაგრამ

ახლა ქართველ ჯარის მთავარსარდ-
ლად იყვნენ მეფე დავით სოსლანი და
ზაქარია მხარგძელი. ეს გამოჩენილი სარ-
დლები მარტო ამგვარი ლაშქრობით
არ დაკმაყოფილდებოდნენ. მათ, რო-
გორცა სჩანს, კარგად შეთვისებული
ჰქონდათ მეფე დავით აღმაშენებელის
და გიორგი III გეგმა. ქართველების
ჯარი შორს განძის აღმოსავლეთისაკენ
ილაშქრებს ბარდაეში (ევლახის სამ-
ხრეთით). ილაშქრებენ აგრედვე კარნუ
ქალაქისაკენ (არზრუმისაკენ). ცხარე
ბრძოლაში თურქებს დაამარცხებენ და
დიდის ნადავლით ბრუნდებიან. მიდიან
ლაშქრობით გელაქუნის ტბის სამხრე-
თით, აქაც იმარჯვებენ და ბრუნდე-
ბიან. ეს შორს გალაშქრებანი არსები-
თად იგივე ნავარდობა იყო მხოლოდ
უფრო ფართედ მოწყობილი და მო-
საზრებული.

ადარბაგანის სულტანი ათაბაგი ყი-
ზილ არსლანი მოკვდა და მისი სამ-
ფლობელო სამმა შვილმა გაიყო. შემ-
დეგ მათში უთანხმოება მოხდა და ერ-
თი მეორეს დაერია. ბოლოს და ბო-
ლოს გაიმარჯვა აბუბაქარმა და შემ-
დეგ ეს აბუბაქარი შირვანს შეესია.
თამარმა თავის მოხარკე შირვანს
მხარი დაუჭირა და გამოექომაგა, ალ-
ბად იმ მოსაზრებით, რომელიც ზე-
მოდ იყო მოყვანილი. თამარმა დიდ-
ძალი ჯარი შეკრიბა, ასე რომ მემა-
ტიანეს სიტყვით „მათი სიმრავლითა
აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პი-
რი, (ქციის პირი და ქურდავაპრის პი-
რი), ესე ოთხნივე მდინარენი ტფილი-
სით ყარალაჯამდის“ მოფენილი იყვნენ

ქართველთა მხედრობით". (ივ. ჯავა-
ხიშვილი. „ქართ. ერის ისტორია", გვ.
603). „და ვითარცა წარემართნეს,
მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება",
და დაიბანაკეს წყალსაზედა ელ-
კეცისასა, და მუნით აყრილნი მივიდეს
ძაგამს (ძეგამი, ეხლანდელი რკინის
გზის სადგური), სიახლესა შანქორისასა,
თთვესსა ივნისსა, დღესა ხუთშაბათსა.."
(„ქართ. ცხოვრ. ზ. ჭიჭინაძის გამო-
ცემა). იქვე მემატიანე მოგვითხრობს,
რომ მეფესთან მოვიდნენ „კაცნი წინა-
მავალნი აღშაგთანი" და უამბეს, რომ
მათ საკუთარის თვალით ენახათ „ათ-
ასნი ათ-ასთანი და ბევრნი ბევრთანი,
უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა
მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა,
შანქორიტითგან ვიდრე მთად შოთისა
და ვარდანაშტისა, განძის კარამდი ვერ
მისაწთომელ არიან თუალნი განცდად
და გარდაწდომად". დავით სოსლანს
გაუკვირდა, რომ მტერმა განძის სიმა-
გრეებს თავი დაანება და უფრო ხელ-
საყრელი მის ჯარისათვის ბრძოლის
ველი დასტოვა და წინ წამოვიდა და
ვიწრო ადგილში დაიბანაკა. შანქორის
ველი მეტად ვიწროა. ერთის მხრით
მას მდინარე მტკვარი საზღვრავს და
მეორეს მხრით მაღალი მთები. ამ ორ
ზღუდეთა შუა მდებარე ვიწრო მინ-
დორი მრავალ პატარა მდინარეებითაა
გადაკვრილი. ცხადია, რომ ეს ბრძო-
ლის ველი ათაბაგის მრავალ რიცხო-
ვან ჯარისათვის გამოსაყენი არ იქნე-
ბოდა, იგი ვერ გაიშლებოდა და მთელს
თავის ძალას ვერ მოიხმარდა და ვერ
გამოიყენებდა. ჩვენ ვიცით რაგვარი

წყობილება იყო ქართველ ჯარში შე-
მოღებული. დავით სოსლანმა სისწო-
რით დააფასა ბრძოლის პირის თვი-
სება და მდგომარეობაც გამოარკვია.

„განაწყვეს რაზმი წესისა-ებრ, ვი-
თარცა განჩენილ არს **თემთა და თემთა**,
მიუწია წვერმან მარჯვენით რაზმისა-
მან მთად, და მარცხენეთა—მან მტკვ-
რად წარემართნეს, და მივიდეს შან-
ქორისა სიახლესა, და გარდაეცვნეს
ზედა, რეცა-თუ დარწმუღსა მომახურ-
თაგან. და განყო რაზმი მიახლებამან
ქალაქისამან და მუნვე დაწყებამან
ომისამან. და თვთ მეფე-მან რაზმითა
თვისითა დაადგო მარჯვენით შანქორი
და მოსწრაფე იყო განსვლად წყალსა
შანქორისა საკერძოსა.... შეიქმნა ომი
და კვეთება, არა-თუ სრულობით წარ-
მოღვრითა რაზმისათა, გარნა წინა—
მსრბოლთაგან“· („ქართ. ცხოვრება“)
ცხადია აქ დავით აღმაშენებელისე-
ბურ წყობილებასთან და მის ·ტაქ-
ტიკასთან გვაქს საქმე. დავით სოსლანს
ჯარი ისე გაუშლია, რომ მარცხენა
წვერი მტკვრისათვის და მარჯვენა—
მთებისათვის მიუბჯენია, ასე რომ მის
ჯარს მთელი მინდორი გადაუკეტია
და ამ ვიწრო კარიდორით წამოსულა.
თურქების მრავალ რიცხოვნობა ამ
შემთხვევაში თავის უპირატესობას ვერ
გამოიყენებდა და ქართველების ჯარის
წვერებს ვერ შემოუვლიდა. მაგრამ
თვით ჯარის ბრძოლისათვის გაშლა-
შიაც დავით სოსლანს ადგილობრივი
პირობები მხედველობაში მიუღია. იგი
წესისამებრ წინა მებრძოლთ ჰგზავნის,
რომელნიც პირველად უნდა ეკვეთნენ

მტერს და ბრძოლა დაიწყონ. მეორე ნაწილი ზაქარია მხარგძელის სარდლობით მემარჯვენეთ--მცემელთა რაზმს შეადგენდა იმ შემთხვევისათვის, თუ თურქები წინა მბრძოლის მარჯვენა წვერს დააჭარცხებდნენ და შემოუვლიდნენ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა წინა მბრძოლ რაზმის მტკვრის ნაპირისაკენ მიგდება და სწორედ ამ შემთხვევაში ზაქარია სპასალარი მტერს ზურგით დაეცემოდა. თითონ დავით სოსლანი მესამე რაზმით, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერით და ნაცადით, შანქორს მხარ მარჯვენით სტოვებს და მტკვრის ნაპირით მიდის, გადავა მდ. შანქორს და თურქების მარჯვენა წვერს შემოუვლის. როგორც მემატიანე მოგვითხრობს მეფის რაზმმა ცოტა შეიგვიანა, მისი წინსვლა შეფერხდა ადგილობრივ პირობების (მრავალი მდინარენი) ბაღების და საბძლების წყალობით. ასე რომ წინაბრძოლი რაზმი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. რა წამს დაინახა მხარგრძელმა ამ რაზმის გაჭირვება მედგრად ეკვეთა მტერს, მაგრამ მრავალ რიცხოვანი მტერი მაგრად იდგა და ვინ იცის რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, რომ სწორედ ამ დროს თურქებისათვის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა და სწრაფ თავს დაესხა მეფის რაზმი. რადგანაც თურქები შანქორის წინ იბრძოდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფის რაზმი ზურგით მოექცა მათ და ასეთი მოულოდნელი შემოვლა თურქებს ყოველთვის თავზარსა სცემდა და ეხლაც ასე მოხდა. „..,რა ჟამს იხილეს

მეფე, დაეცა რისხვა ღვთისა მათზე-
და. აჰა ბისლეასავე იოტნეს და გააქ-
ციენნეს, და დაართვნეს ისარნი მათ-
ნი სისხლითა. და ხრმალნი მათნი სჭამ-
დეს ხორცთა მტერთა მათთასა. და
მიუწია მდევარ—მან ერთ-კერძომან
განძილ ბაღთამდინ და ერთ კერძო-
მან მთაც გელაქუნისა, და შეხვდეს
მახვილი და ძალი ღვთისა მტერთა
მათთა". რადგანაც დამარცხებული
თურქთა ჯარი ორ ნაწილად გაიყო და
ერთი ნაწილი აღმოსავლეთისაკენ და
მეორე კი სამხრეთისაკენ გაიქცნენ,
ცხადია, რომ მეფის მოულოდნელმა
შემოვლამ მტრის ჯარი სრულიად არიე-
დარია. გამარჯვება იმდენად ბრწყინ-
ვალე იყო, რომ გარდა დიდძალი ნა-
ოვლისა და მრავალი ტყვეებისა, ქა-
ართველებს ხელში ჩაუვარდათ „დრო-
შა ხალიფასაგან ღაზოდ წარმოგზავ-
ნილი".

მეორე დღეს შანქორმა მეფეს კარი
გაუღო და ქალაქი დანებდა, მაგრამ
მეფემ გარდა ქალაქისა მისი მიდამოე-
ბი და ციხენიც დაიპყრა. დაპყრობი-
ლი ქვეყანა კვლავ დაუბრუნა ამირ-
მირანს, რანის კანონიერ მფლობელს
და თვითონ განძისაკენ გაეპართა. გან-
ძა უბრძოლველად დანებდა. ძლევა-
მოსილი ქართველთა ჯარი შინ და-
ბრუნდა.

შანქორის ომს დიდი პოლიტიკური
მნიშვნელობა ჰქონდა. დავით აღმაშე-
ნებელის და გიორგი III შემდეგ ეს
პირველი დიდი ბრძოლა იყო, სადაც
თურქების და სპარსელების შეერთე-
ბული მრავალ რიცხოვანი ჯარი სა-

შინლად დამარცხდა. დავით სოსლანმა აქ დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. თუ დავაკვირდებით მემატიანის მოთხრობას, უსათუოდ დავრწმუნდებით, რომ ამ გამარჯვებაში დიდი წილი უდევს ამირ სპასალარს ზაქარია მხარგრძელს. იგი თავის ინიციატივით, სწორედ მაშინ, როდესაც საჭირო იყო ეკვეთა მტერს და მასთან ისე მოხერხებულად და ისე მკაცრად, რომ არამც თუ მისი შეტევა შეაჩერა, არამედ აიძულა მრავალ რიცხოვანი ჯარი მოგერიებაზე გადასულიყო და ამით დრო მოიგო და მეფეს საშუალება მისცა თავისი მანევრი შეესრულებინა. მეფე სოსლანმა თავისი მოქმედება გარემოებას შეუფარდა ⁄ თვით გარემოებაც სისწორით ასწონ-დასწონა და ზედ მიწევნილი, გამოიცნო. სრულიად სამართლიანად მან მტრის ჯარის მარჯვენა წვერს შემოუარა, რათა განძისაკენ გზა გადაეკრა და მტერი მთებში გადაეყარა. თუ კა თურქთა ჯარის მომეტებული ნაწილი განძაში შევარდებოდა და მის ზღუდეებს ამოეფარებოდა, ვინ იცის რა მიმართულებას მიიღებდა და რით გათავდებოდა ეს დიდი ბრძოლა. სოსლანმა გამარჯვებაც ბოლომდის გამოიყენა და მტერს შეუჩერებლივ სდია და გაანადგურა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დიდ ბრძოლაში ცხადათ სჩანს დავით აღმაშენებელის სკოლა. „ქართველთა გამარჯვებას შანქორთან ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველოს ეგოდენ მკვიდრი სამხედრო ძლიერება გამოააშკარავა, რომელსაც მაჰმადიანთა შეერთებულ ლაშქრისათვის

ჯეროვანი პასუხის გაცემა შეეძლო. განსაკუთრებით სასახელო იყო ქართველებისათვის ხალიფას მიერ უძლეველობის ნიშნად (ღაზოდ) წარმოგზავნილ დროშის წართმევა. ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფემ ქართველთა ძლევა-მოსილების ეს ძვირფასი ნიშანი ხახულის დიდებულს ტაძარს შესწირა". (ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. ერის ისტორია". გვ. 608).

შანქორის დიდი ომი ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. წესიერად და წინდახედულობით მოწყობილმა ოპერაციამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ამ დამარცხებამ ნათლად დაანახა თურქებს, რომ ბრძოლის ველზე პირდაპირ შებმაში ქართველებთან ვერას გააწყობდნენ. მეტად დიდი იყო განსხვავება მათი და ქართველების ჯართა შორის. მეორეს მხრით საქართველო იმდენად გაძლიერდა, იმდენი ზარალი მიაყენა თავის მეზობელ მაჰმადიანებს, იმდენად გაამაგრა და გააფართოვა სამზღვრები და ისეთი დიდმნიშვნელოვანი ადგილები დაიპირა, რომ ახლა თვით მაჰმადიანთა საამიროთა საზღვრებს შიში მოელოდა და ამირ სულტნებს საკუთარი ტერიტორიის დაცვისათვის უნდა ეზრუნათ. ქართველების ესოდენი გაძლიერება ეხლა მარტო ადგილობრივ ხასიათის საკითხი არ იყო. ძლევამოსილი, მოშენებული და მოღონიერებული ქართველობა უკვე დიდ მაჰმადიანთა სამეფოთ ემუქრებოდა. ქართველებისათვის გზა სპარსეთისაკენ და აგრედვე არზრუმის და რუმის სამეფო-

ე ბისაკენ გახსნილი იყო და მაშასადამე თკოთ ხალიფაც კარგად ჰგრძნობდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველების ასეთს გაძლიერებას. ამიერიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მაჰმადიანთა ამირები ბაშინაც-კი, როდესაც შეერთდებიან და დიდს ჯარს მოუყრიან თავს, მაინც პირდაპირ ვერა ჰბედავენ შორს საქართველოში შიპრას. ყოველთვის ირჩევენ ფარულად, მოულოდნელად შეიპარნენ, მოარბიონ რასაც მოასწრობენ და უკან ბრუნდებიან და თუ მაინც ქართველთა ჯარი მოასწრებს და დაეცემა, პირველ შეხლისთანავე მაჰმადიანთა ჯარი გარბის ბრძოლის ველიდან. უკვე ეს გარემოება დამამტკიცებელი იყო იმ სა, რამდენად ერთის მხრით გაძლიერდა ქართველთა ჯარი და მეორეს მხრით რამდენად დაუძლურდა და დაკნინდა მაჰმადიანთა ოდესღაც ძლევამოსილი, გამოცდილი და მამაცი ჯარი.

სწორედ ამიტომ ქართველთა სარდლებმა მოუხშირეს ლაშქრობას და ხან ერთს მხსრეს ხან მეორე მხარეს შეესეოდნენ და თანდათან ახალ-ახალ ადგილებს ართმევდნენ მაჰმადიანებს.

შანქორის ომის შემდეგ აბუბაქარი ნახჩევანისაკენ გაიქცა. იგი ვერ აპატიებდა რანის მფლობელს ამირ-მირანს საქართველოსთან დაკავშირებას. მაჰმადიანები ამირ-მირანს, რა თქმა უნდა, მოღალატედ სთვლიდნენ და ამიტომ აბუბაქარმა კაცები მოისყიდა და მათი დახმარებით ამირ-მირანი წუთისოფელს გამოასალმა. თავის მხრით ქართველები არ შეარჩენდნენ

ასეთ ვერაგობას აბუბაქრს და ამიტომ მისი დასჯა განიზრახეს. აღსანიშნავია ქართველების მის წინააღმდეგ გალაშქრება. რადგანაც თამარის ერთგული განძის მფლობელი ამირ-მირანი მოკლულ იყო და თუ მის ქვეშევრდომთა შორის აბუბაქრმა ჰპოვა ისეთი ადამიანები, რომელთაც მოაწყეს ტ აღასრულეს ეს მკვლელობა, ცხადია რომ განძაში და საზოგადოდ რანში ამირ-მირანის პოლიტიკის წინააღმდეგნიც ყოფილან. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, განძელ მაჰმადიანთათვის რა თქმა უნდა აბუბაქარი უფრო მახლობელი და სასურველი ბატონი იყო, ვიდრე ქრისტიანი თამარი. ნუ დაგვაეიწყდება, რომ რანი საქართველოს ხარკს აძლევდა და ეს რა თქმა უნდა მისდამი სიმპატიას არ გამოიწვეევდა.

მაშასადამე თუ კი ქართველები აბუბაქარის წინააღმდეგ შორს სამხრეთით გაილაშქრებდნენ და განძას უყურადღებოდ დასტოვებდნენ, ამირ-მირანის სიკვდილის შემდეგ ეს განძა ვინ იცის როგორ მოიქცეოდა. ალბად ქართველებს ამის დიდი იეეი ჰქონდათ და ამიტომ აბუბაქარის წინააღმდეგი გალაშქრება მათ ორის გზით მოაწყეს. ერთი ნაწილი ჯარისა მეფე სოსლანის მეთაურობით განძისაკენ გაემართა და მეორე ნაწილი თამარ მეფეს გაჰყეა სამხრეთისაკენ. ქართველებმა ღეინი აიღეს, აგრედვე განძა, სადაც დასაჯეს აბუბაქარის მომხრეები. ქართველთა ჯარი უკან დაბრუნდა და სამეფო სახლობა ლიხთიმერეთს გადვიდა ალბად დასასვენებლად. სწო-

რედ ამ დროს ბასიან-არტაანის გზით შემოესიენ თურქები საქართველოს, ააოხრეს არტაანი, ძაღლის ხევი, პალაკაციოს ქვეყანა. მეტად მნიშვნელოვან მიმართულებით წამოვიდნენ თურქები და საჭირო იყო მათი არამც თუ განდევნა, არამედ ისეთი ზომების მიღება, რომ საბოლოოდ ეს მნიშვნელოვანი მიმართულება დიდი შემოსევისაგან მაიც უზრუნველ ეყოთ.—თამარის სარდლები დიდს ოპერაციას აწყობენ და შორს გალაშქრებას აპირებენ. არზრუმის და ხოროსანის (რუმის) ამირების მოსაზღვრედ დასავლეთით ბიზანტიის ტერიტორია იყო, ტრაპეზუნთიის ოლქი. ბიზანტია იმ დროს იმდენად დაუძლურდა, რომ ქართველებს თამამად შეეძლოთ მასთან შებრძოლება. თუ კი ტრაპეზუნთიის მიდამოები, ისპირი და ჭანეთი ან თვით თამარის ან და მის მოკავშირეს ხელთ იქნებოდა, ეს ცოტა არ იყვეს არზრუმის სულთანს სასაქართველოსაკენ გალაშქრებას გაუძნელებდა, რადგანაც მარჯვენა მხრით მას ყოველთვის საფრთხე მოელოდა. ქართველთა ჯარმა ჯერ პირდაპირ შემოსეულ მაჰმადიანების წინააღმდეგ გაილაშქრა, განდევნა იგი და სდია თვით ბასიანამდე და აღიღო ხახულ-ოშკი და ბანა. შემდეგ, როგორც მოგვითხრობს მემატიანე, თამარ მეფე მეტად განარისხა ბერძენთა მეფემ, რომელმაც ბერებს თამარის მიერ ბოძებული ოქრო წაართვა და ამიტომ მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ქართველმა ჯარმა დაიპყრა ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმანი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი,

კოტიორა, ამასტია, ერაკლია და „ყოველნი ადგილნი ფეგლაღონიისა და პონტოსანი. რა თქმა უნდა, ოქროს წართმევა მხოლოდ საბაბი იყო და ნამდვილად კი ეს გალაშქრება გამოიწვია დასავლეთ-სამხრეთის და სამხრეთის საზღვრების დაცვის სურვილმა. მართალია ტრაპეზუნტიის მიდამოების და შავი ზღვის ნაპირების დაპყრობას საქართველოს სამეფო მსოფლიოს ასპარეზზე გამოჰყავდა, მთელი მცირე აზიის ბატონობას უმზადებდა, მაგრამ ბრძენ პოლიტიკოსს თამარს კარგად ესმოდა, რომ მისი სამეფო ჯერ არ იყო საკმაოდ მომზადებული და ძლიერი ამისთანა რთულ და დიდს მისიისათვის. ამიტომ იგი დაპყრობილ ქვეყანას არ შემოიერთებს და „მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარისსა შემოხვეწილი“, ე. ი, გადასცა ეს ქვეყანა ბერძენთა მეფეთა საგვარეულოს წევრს, თავის ნათესავსა და ერთგულს კაცს. ამრიგად თამარმა ერთგვარი „ბუფერი“ შეჰქმნა ბიზანტიის და საქართველოს შუა ერთის მხრით და მეორეს მხრით საქართველოსა და მაჰმადიანთა სამფლობელოს შორის.

დასავლეთის მხრით უზრუნველყოფილი ქართველების ჯარი კვლავ უბრუნდება სამხრეთის საზღვარს. იგი ილაშქრებს ხლათში და იქიდან მანაზკერტამდე მიუღწევია. მაგრამ აქ ზოგიერთი ისტორიკოსების მოწმობით არზრუმისა და ხლათის სულტნების შეერთებულ ჯარს ქართველები უკუ-

უქცევია. ქართველ ისტორიკოსებს ამ დამარცხების შესახებ ცნობები არა აქვთ (ივ. ჯავახ. „ქართ. ერის ისტორია“) მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ამ სიშორეთ წასული ქართველების ჯარი, უცნობ ადგილებში, დამარცხებულიყოს. მაგრამ ალბად ეს დამარცხება არც იმდენად დიდი რამ იყო, რომ თითქმის იმავე წელს ქართველთა ჯარმა კარისკენ გაილაშქრა და კარი დაიპყრა. ქ. კარის მცველად თამარმა ახალციხელი ივანე დააყენა. ამ ივანემ თავისი ინიციატივით კარის მიდამოები დაიპყრა და საქართველოს შემოუერთა. ამ რიგად საქართველოს სამხრეთი საზღვარი საბოლოოდ ჩაიკეტა და უზრუნველყოფილ იქმნა. დიდებულ დავით ალმაშენებელის გეგმა ქართველმა ჯარმა სავსებით აღასრულა და დაამთავრა. მაგრამ სწორედ ეს გარემოება მომავალში იმდენად საშიში იყო მაჰმადიანთა სამფლობელოთათვის, რომ მათ ერთხელ კიდევ სცადეს შეერთებული ძალით უკან დაებრუნებინათ ის, რაც თამარის ლაშქრობამ წაართვა. მოთავედ და ინიციატორად რუმის სულტანი გამოვიდა. კარის და ბასიანის მიმართულებანი სწორედ მისთვის იყვნენ საშიშნი. ამ მიმართულებებით მიდიოდნენ უახლოესი გზები ხოროსნიდან საქართველოში და სწორედ ამ მიმართულებებით იყო მოსალოდნელი ქართველების შემოსევა. რუმის სულტანმა რუქნადინმა მოუწოდა მეზობელ ამირებს და მრავალ რიცხოვან ჯარს მოუყარა თავი. მემატიანეს სიტყვით

მან 400000 შეაგროვა. ამის ნახევარიც რომ ვიგულისხმოთ, მაინც რუქნადინს იმ დროისათვის მეტად დიდძალი ჯარი შეუგროვებია. ყოველ შემთხვევაში იგი ქართველების ჯარს ბევრით აღემატებოდა. როგორც ვიცით რუქნადინმა თამარს წერილი „სიბრიყვითა და თავხედობით აღსავსე" წარუგზავნა და დამორჩილებას სთხოვდა.

ქართველების ჯარი ჯავახეთში შეიყარა, რადგანაც აქედან უფრო მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა. ამავე დროს რუქნადინის ჯარი ბასიანში და ბოლოსტიკთან დაბანაკდა. დავით სოსლანს კარგად ესმოდა, რომ ქართველთა შედარებით მცირე რიცხოვანი ჯარი პირდაპირ და ახდილად რუქნადინის ჯარს ვერ შეებმებოდა და მხოლოდ მოულოდნელი თავ დასხმით თუ სძლევდა მტერს. იგი მზვერავებს გზავნის მტრის ბანაკის დასათვალიერებლად. მზვერავნი ამბავს მოუტანენ, რომ მართლადაც აურაცხელი ჯარი ჰყავს რუქნადინს, მაგრამ ბანაკის დასაცავად და სადარაჯოთ არაეითარი ზომები არა აქვთ მიღებული, ამიტომ ფარულად და მოულოდნელად თავს დასხმა შესაძლებელი ხდებოდა. დავითმა აღარ დააყოვნა და მტრისკენ წამოვიდა. წინამბრძოლის მეთაურად ზაქარია მხარგძელი იყო. მას მოსდევდნენ მარჯვნით და მარცხნით, წესისამებრ ერთის მხრით „აფხაზნი და იმერნი" და მეორეს მხრით ჰერ-კახნი. ჯარი მოულოდნელად მიაწყდა და ეკვეთა

მტრის ბანაკს და „იქინა ომი ფიცხელი და ძლიერი, და განგრძელდა მყოვარ ჟამ. და მოსწყუდეს ორგნითვე ურიცხვნი, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს, და ეს-ოდენ განგრძელდა ომი, რომელ ცხენი მოუკლეს ივანეს მსახურთ-უხუცესსა, ზაქარიას, გრიგოლს და ახალციხელთა შალვას და ივანეს, და სხვათა მრავალთა თავადთა, და კნინლა სივლტოლად მიდრკეს ქართველნი, და ქვეითად დარჩეს რაზმსა შინა მხნენი-იგი ქართველნი. მაშინ ვითარცა იხილნეს ლაშქართა თვისთვესნი პატრონნი ქვეითნი, გაწირნეს თავნი სიკუდილად, ჩამოჰხდეს ცხენისა-გან და პატრონთა მათთა გვერდსა დაუდგეს, ქვეითნი ქვეითთა. და ეგრეთ ძლიერი ომი შეიქმნა, და ვითარ იხილა დავით მხნემან, მორიდა ერთ-კერძო, და მარჯვენასა მხარსა მოჰრიდა ზაქარია მხარ-გრძელმან, დავითარ ქართუსლთა განეშორნეს, რათა არა ცხენთა მათთა-გან დაითრგუნენ ქვეითნი ქართველნი, და მიმართნეს სპარსთა კერძო. მსწრაფლ მიეტევნეს ერთ-კერძო სოსლან-დავით, და ერთ-კერძო ზაქარია, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუტევდეს ურიცხუთა-მათ სპათა სულტანისათა. და... ანაზ-დად ეგე-ოდენი-იგი სიმრავლე განსქდა, იძლია და დაიფანტა“. („ქართ. ცხოვრება“, ზაქ. ჭიჭ. გამოცემა, გვ. 468—469).

ბოდიშს ვიხდით ამ გრძელ ამონაწერის გამო, მაგრამ ეს ამონაწერი საუცხოვო ნიმუშია სამხედრო მწერ-

ლობისა. რამდენიმე სტრიქონში მშვენივრად, გარკვეულად და საესებით დასურათებულია ფართე და შესანიშნავი ბრძოლა. ცხადია ჩვენთვის ეს სურათი. ზაქარია მხარ-გრძელი წინამბრძოლთა მეთაური საშინელის სიმკაცრით მოულოდნელად ეკვეთა მრავალ-რიცხოვან მტერს და „ფიცხელი ომი“ შეიქმნა. როგორც ეტყობა მტერს მაინც მოუსწვრია და შეჰბმია წინამბრძოლთ· რა თქმა უნდა მტერი იმდენად სჯარბობდა რიცხვით, რომ წინა-მბრძოლთ საქმე მეტად გაუჭირდებოდათ და როგორცა სჩანს მემარცხნეთ მიმსვლელ-მცემელთა ᲩᲔ აგრედვე მემარჯვენეთ მიმსვლელ-მცემელთა დახმარებაც საკმაო არა ყოფილა და ქართველები „კნინლა სივლტოლად მიდრეკეს“-ო. იმდენად მკაცრი ბრძოლა ყოფილა, რომ თითქმის ყველა თავადებისათვის ცხენები დაუხოცნიათ და მაშინ ჯარის კაცებიც ჩამრჩხტარან და ქვეითნი შეჰბმიან მტერს. რა თქმა უნდა, მიუხედავად დიდი მამაცობისა და თავგანწირულებისა, ეს გარემოება არა ხელსაყრელი იქნებოდა ქართველ ჯარისათვის. როგორც მოგვითხრობს მემატიანე ქართველებს ცხენები მოუშორებიათ და შემდეგ ამისა, როდესაც ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია, დავით სოსლანმა ცხენოსანი ჯარი ორად გაჰყო და ორის მხრით დავითი მარცხნით და ზაქარია მარჯვნით ცხენოსანი რაზმებით საშინელის სიმკაცრით ეკვეთნენ მტერს და ამ კვეთებამ მტრის ჯარი სრულიად არივ-დარია, რასაც თან და-

მარცხება და გაქცევა მოჰყვა. საუბედურო ად აქ ცოტა რამ გამოურკვეველია. თუ ცხენების დატოვება და განზე გაყვანა სწორედ ბრძოლის დროს მოახდინეს, ეს საქმის მოწესრიგების და გაადვილების მაგიერ, უსათუოდ უფრო არეულობას და შეშლას გამოიწვევდა, რითაც მტერი უსათუოდ ისარგებლებდა. უფრო სინამდვილესთან ახლო იქმნება ვიფიქროთ, რომ თვით დავითს თავის განკარგულებაში ჰყავდა ცხენოსანი ჯარი, რომელიც რეზერვის როლს ასრულებდა. ეს მაშინდელ საბრძოლველ წყობილებას უფრო ეგუება და გარდა ამისა აღწერილობიდან სჩანს, რომ დავითს პირველ შეხლაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი უცდიდა ბრძოლის კრიზისის მომწიფებას, იგი ინახავდა რეზერვს. როგორც ეტყობა ზაქარიაც მოწინავე რაზმში არა ყოფილა და მხოლოდ შემდგომ მოუგროვებია ცხენოსანი მეომარნი, მოუვლია მტრის მარცხენა წვერისათვის და ამავე დროს დავითს რეზერვით, რომელსაც აგრედვე ცხენოსანი ჯარი შეადგენდა, მტრის მარჯვენა წვერისათვის შემოუვლია და დასცემია. და ეს ორ მხრივი თავდასხმა სწორედ მაშინ მომხდარა, როდესაც გათამამებული მტერი გართული იყო „ფიცხელ ომში“ და მისი „შემბმელნი კნინლა სივლტოლად მიდრკეს“. მომენტი მეტად კარგად იყო არჩეული და შესაფერი ნაყოფიც მოიტანა.

ამ ბრძოლაში აღსანიშნავია მიზანშეწონილი მოხმარება რეზერვისა. მთავარ სარდლის თვალი დიდის სისწო-

რით სვერეტს ბრძოლის მიმდინარეობას და სწორედ საპირო დროს შესაფერისად დაჭრაეს მტერს.

ეს დიდი ბრძოლა კიდევ ერთხელ გვაჩვენებს რამდენად განვითარებული იყო მაშინდელი ქართველების სამხედრო ხელოვნება.

ქართველი სარდალი კარგად იცნობს თავის მტერს, მის თვისებას და ჩვეულებას. იგი წინასწარ მზვერავებსა გზავნის ჯარის დასათვალიერებლად და უტყუარ ცნობათა შეგროვის შემდეგ თავის მოქმედების გეგმას შეადგენს. რა წამს გეგმა შემუშავებულია, დაუყოვნებლივ მის აღსრულებას იწყებს. მიუხედავად მოულოდნელად თავდასხმისა, მტრის უმრავლესობისა და საკუთარი ჯარის სიმცირისა, იგი მაინც ჯარის ნაწილს რეზერვად იტოვებს და სწორედ ეს საშუალებას აძლევს ბრძოლის კრიზისი თავისკენ გადმოხაროს. დიდის სიმტკიცით და დინჯად უთვალთვალებს იგი ბრძოლას და მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა ბრძოლის ვითარება, მხოლოდ მაშინ მიუსევს მტერს შენახულ რეზერვს. ხასიათის დიდი სიმტკიცეა ამისათვის საპირო და ძლიერი ნებისყოფა, რომ სარდალმა თავი დაიჭიროს და თავისივე რაზმის უკიდურეს გაპირვებამ უდროოდ ხელიდან რეზერვი არ გამოსტაცოს. ამ ბრძოლაშიაც იჩენს თავს ამირსპასალარის მხრით ინიციატივის უნარი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ შესანიშნავ სარდალს ზაქარია მხარგრძელს არაერთხელ გამოუჩენია ასეთი უნარი. აღსანიშნავია

აგრედვე, რომ ქართველ სარდლებს კარგად ესმით ცხენოსან ჯარის თვისებანი და მნიშვნელობა.. მათ ხელში ცხენოსანი ჯარი განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ მოვალეობას კისრულობს და ბრწყინვალედ ასრულებს.

რუქნადინის დამარცხება პირდაპირ აპოთეოზი იყო თამარის ლაშქრობისა. მაჰმადიანთა შეერთებული მრავალრიცხოვანი ჯარი მეორედ საშინლად დამარცხდა.

„ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კავკასიის სამხრეთის სამზღვარზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთით, არც დასავლეთით საშიშარი მეტოქე აღარა ჰყავდა. რუქნადინის დამარცხების შემდგომ ,ალე მიიცვალა მეფე დავით სოსლანიც, „კაცი აღსავსე ყოვლითა კეთილითა საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშვენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მხნე... უხვი და მდაბალი და სხვითა ყოვლითა სიკეთეთი აღმატებული“. (ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია“. გვ, 617—618).

რუქნადინის დამარცხების შემდგომ საქართველოს ძლევა-მოსილებამ მაღალ საფეხურამდე მიაღწია. როგორც ნათქვამი იყო, მოსაზღვრე სულტნები და ამირები ეხლა მხოლოდ ფარულად შემოპარვას ჰბედავდნენ. სწორედ შემთხვევით ისარგებლა არდაბილის სულტანმა. როდესაც თამარი თავის სარდლებითურთ გეგუთს იმყოფებოდა, სულტანი ფარულად შემოვიდა და მიადგა ანისს. ანისამდე არც ერთი ქალაქი ან სოფელი არ აუოხრებია,

რათა დაეფარა თავისი შემოსევა. ანისში მან საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოახდინა და შემდეგ თავისას დაბრუნდა.

რა წამს გაიგო თამარმა ანისის აოხრება-აწიოკება, უმალ წარგზავნა თავის ჯარი არდაბილის სულტნის დასასჯელად. ქართველებმა მეტად ხერხიანად მოაწყეს ეს გალაშქრება. ჯარი ნაწილ-ნაწილად წავიდა ფარულად ანისში და მხოლოდ მაშინ როდესაც მოახლოვდა მაჰმადიანთა დღესასწაული, „საჩქაროდ წარემართნეს არდაველს, გარდავლეს გელაქუნი და ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ხუაფრიდის ხიდსა და მიმართეს არდაველს“ და აქ ანისის ჯავრი იყარეს. თვით სულტანი მოჰკლეს და დიდი ნადავლით და მრავალი ტყვეებით დაბრუნდნენ შინ.

„სპარსეთში ლაშქრობამ ამირსპასალარს ზაქარიას, მსახურთ-უხუცესს ივანეს და სხვა სარდლებს სპარსეთის ნამდვილი ვითარება დაანახვა, მისი უძლურება და დაქსაქსულობა. ამიტომ „მოვიდეს მხარგრძელნი ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთ-უხუცესი ივანე და ვარამ გაგელი მეფეს წინაშე“ და სპარსეთში თავრიზს და ხოროსანს გალაშქრება ურჩიეს. „თამარ მეფემ ვაზირების მოხსენება და მეტად გაბედული წინადადება უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებას გადასცა განსახილველად... ბეჭების შემდგომ „სთნა ყოველთა თქმული მათი და დაასკუნეს ლაშქრობა“ (ი. ჯავახ. „ქართ. ერის ისტ.“ გვ. 624). ქართველთა ჯარი ნახჭევანის მიმართულებით წავიდა,

გადვიდა ჯულფას და აღვიდა მარანდს. ეს შორი გალაშქრება სტრატეგიის თვალსაზრისით მხოლოდ იმითაა საყურადღებო, რომ შესანიშნავად მოწყობილი იყო ჯარის მსვლელობა. ჯარს ყოველთვის წინმავალი რაზმი მიუძღოდა, რომელსაც „ამბის უცნობლად“ მტერთან შებმა აკრძალული ჰქონდა. მისი მოვალეობა მხოლოდ გზის გაკვლევა, მტრის დაზვერა და მოულოდნელ თავდასხმის თავიდან აცდენა იყო. ამიტომ, როდესაც ეს წინმავალი რაზმი მარანდელებს გამოეკიდა, დაედევნა და გამარჯვებული დაბრუნდა, „თუმცა ყველანი გახარებულები იყვნენ, რომ წინაძებრძოლნი გამარჯვებულნი და უვნებლად ნახეს, მაგრამ ამირ სპასალარი წინამებრძოლთა რაზმის მხედართ-მთავარს თაყვანიდინს „აბრალობდეს“, მკაცრად ამხილებდა და უკავრდებოდა „ამბის უცნობელად შებმისათვის“. (ივ. ჯავახიშვილი „ქართ. ერის ისტორია“, გვ. 626). როგორც ხედავთ, ქართველ ჯარშიაც იმ დროს დისციპლინა საკმაოდ დაცული იყო. ინიციატივა ინიციატივად, მაგრამ თუ კი ეს ინიციატივა რაზმის პირდაპირ დანიშნულებას ეწინააღმდეგებოდა და შესაძლო. იყო მთავარი ჯარის ხიფათში ჩაგდება, რა თქმა უნდა, დაგმობილ უნდა ყოფილიყო. ქართველთა ჯარმა აიღო თავრიზი, ყაზვინი, მერმე დასავლეთისაკენ მიბრუნდა, მივიდა თვით ხოროსნამდე და დიდის ნადავლით დაბრუნდა შინისკენ.

ამ დიდ გაალაშქრებით დამთავრდა საქართველოს საზღვრების აქტიური დაცვა და გამაგრება. ეხლა კი საქართველოს სამხრეთით საშიში მეტოქე აღარავინა ჰყავდა. ყოველ მხრით საზღვრები დაცული იყო და გაძლიერებული და გამაგრებული საქართველო მთელს მცირე აზიაში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. და თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ ყველა ეს ერთი გეგმის მეთოდიური და სისტემატიური აღსრულების ნაყოფი იყო, კვლავ წარმოგვევლინება გენიოს სარდლის დიდებულ დავით აღმაშენებელის უაღრესი ნიჭი და შორსმჭვრეტელობა. ფართოდ მოფიქრებული, მიზანშეწონილი გეგმა მთელმა რიგმა სახელოვან სარდლებისამ ბოლომდის მიიყვანა და დიდებულ წინაპრის მიერ ნაანდერძევი ძეგლი ბრწყინვალედ დააგვირგვინა.

თამარ მეფეა გამომხატველი და სიმბოლო ამ ბრწყინვალე დაგვირგვინებისა და რა გასაკვირველია, რომ „რამეთუ სახელთა ზედა აკროსტიხურად, თამარის შეხმათა დასწერდეს ბეჭედთა ზედა, და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებათა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყუნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულობისა სიტყვა აღმოთქვან: ყრმანი მემროწელნი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან... ხოლო საქმეთა მისთა-თჳს რადღა საკმარ არს თქმად, რამეთუ კიდით-კიდემდე გაგინისმეს, ვითარცა თჳთ მოწამე არს ყო-

ველი ჩვენ მიერ ხილულნ სიტყვისა-ებრ ბრძნისა". („ქ. ც-ბა", ვიქ. გა-მოც.) ასე გვიხატავს თამარის ღ[illegible]აწლს მემატიანე და მგონი მეტიც ვეღ[illegible] ითქმის.